№ 197. ორშაბათი 8 დეკემბერი 1914 წ.

წელიწადი მეოთხე.

**ფასი გაზეთისა:** წლიურად 2 მ. 50 კ., ნახევარი წლით—1 მ. 25 კ. საზღვარ-გარედ ორჯერ მეტი.

**თითო ნომერი 5 კაპ.**

**განცხადებათა ფასი:** პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი 15 კ. უკანასკნელ გვერდზე—10 კაპ., ტექსტის შუაგულს—20 კაპ. სამგლოვიარო განცხადების ერთხელ დაბეჭდვა—3 მან.

# თემი

№ 197. ორშაბათი 8 დეკემბერი 1914 წ.

წელიწადი მეოთხე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.

დაწუნებულ წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს

რედაქციის კონტორის ბინა: ოლგას ქ., სახლი დიასამიძისა, № 4

ტელეფონი 6—60.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი. გამოდის ორშაბათობით.

F4 N843



## არტისტულ საზოგადოების თეატრი

ოთხშაბათს, 10 დეკემბერს 1914 წ. თბილისის ქართულ დრამატიულ დასის **ამხანაგობის** მიერ წარმოდგენილი იქნება

## საზოგადოების დედა-ბოძნი.

ცნობილი პიესა 4 მოქმედ. ჰ. იბსენისა, თარგმ. ალ იმედაშვილისა.

**მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი.**

დასაწყისი საღამოს 7 ნახევარ საათზე (რვის ნახევარზე).

**ადგილებს ფასი ჩვეულებრივია.**

რეჟისორი მ. ქორელი.

## ახალი კლუბი

ორშაბათს 8 დეკემბერს

## საოჯახო საღამო

აჩვენებენ სინემატოგრაფის საშუალებით სხვა და სხვა სურათებს

ოთხშაბათს, 10 დეკემბერს **სინემატოგრაფი**

პარასკევს 12 დეკ. **სინემატოგრაფით** აჩვენებენ სხვადასხვა სურათებს.



**მისის იმპერატორებითი უდიდებულესობის**

## დედოფალ ალექსანდრეს თეოდ. ასულს თბილისის საწყობი

**ღებულობს ყოველგვარ შემოწირულებას** ომით გამოწვეულ საჭიროებათათვის თეთრეულის მასალას, შეკერილ თეთრეულს, ფულს, თბილ საცვალს და ტანისამოსს, წამლებს, წყლულის შესახვევ მასალას (მარლს ბინტისათვის) და სანოვაგეს (ჩაი, შაქარი, ყავა, ყავა, კაკაო, შოკოლადი, თამბაქო და სხვა).

ვინც იკისრებს უსასყიდლოთ შეკერვას თეთრეულისას ან სხვა ნივთებისას, კეთილ ინებონ და საწყობში მობრძანდნენ ყოველდღე (კვირა უქმის გარდა) დილის 11 საათიდან საღამოს 6 საათამდე.

იმავე დროს მიიცემა სახლში წასაღები მასალა და მიიღება შემოწირულება.

შემოწირულების რაოდენობას ნურავინ დაერიდება. ყოველგვარი შემოწირულება მადლობით მიიღება. ყველაფერი მეტად საჭიროა განსაკუთრებით თეთრეულები და წყულის შესახვევი მასალა (მარლი). საწყობი მოთავსებულია მეფის მოადგილის სასახლეში.

**მის უდიდებულესობის** თბილისის საწყობში ფულით შეწირულების შეტანა შეიძლება თბილისის ვაჭართა ბანკში საწყობის მიმდინარე ანგარიშზე № 394 ნომრით ყოველდღე დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე, კვირა-უქმეს გარდა.

## „კონტორა განთიადისაგან."

დაუყონებლივ საჭიროა აგენტები: საჩხერეში, შორაპანში, ბელაგორში, ახალსენაკში, ოჩემჩირეში, აბაშაში, ქვალონში, მუხიანში, ნიგოითში, ჯუმათში, საჯავახოში, ნაგომარში, ქობულეთში, ჩაქვში, მიხაილოვოში, ბორჯომში, სურამში, ცხინვალში, დუშეთში, თიანეთში, მცხეთაში, სიღნაღში, თელავში, ევლახში, ალსტაფაში, განჯაში, აჯიქაბულში, ბალაჯარაში, ბაქოში, კავკავში, ყარსში, ალექსანდრეპოლში, ერევანში, სანაინში. პირობები იხილეთ ,,განთიადის'' განცხადებაში. **თბილისში სხვა და სხვა უბნებში საჭირო დახელოვნებული გაზეთების გამყიდველები.**

ამის შემდეგ გაზეთების მიღება თავის დროზე და დატარების საქმეც ყოველგან გაუმჯობესდება. ყოველგვარი გაუგებრობა, გაზეთების მიუღებლობა და სხვა, დაუყონებლივ უნდა ეცნობოს კონტორა ,,განთიადს'', თბილისი, მიხეილის პროსპექტი № 18.



ქ. თბილისში გაიხსნა ქ. ბათუმის წიგნის მაღაზია და ჟურნალ-გაზეთების კონტორა ,,განთიადი''-ს განყოფილება, ცენტრალური კონტორა პერიოდიული გამოცემებისა

## ,,განთიადი''

კონტორა ,,განთიად''-ში (მიხეილის პრ. № 18) იყიდება ყველა ადგილობრივი ჟურნალ-გაზეთები და მიიღება ხელისმოწერა და განცხადებები ჟურნალ-გაზეთებში დასაბეჭდად. კონტორა ,,განთიადი''-დან საკუთარ აგენტებს კავკასიის დაბა-ქალაქებში შეუძლიათ გამოიწერონ შემდეგი ადგილობრივი ჟურნალ-გაზეთები: **,,ახალი აზრი'', ,,კავკაზსკოე სლოვო'', ,,კავკაზი'', ,,თემი'', ,,ჰორიზონი'', ,,მშაკი'', ,,თეატრი და ცხოვრება'' ,,ხათაბალა''**, და იუმორისტ. ალმანახები. თბილისის ჟურნალ-გაზეთები აგენტებს ჩვეულებრივ ფასებში დაეთმობათ და იმავე დღეს გაეგზავნებათ, უკან დაბრუნება დარჩენილი გაზეთების შეიძლება თანახმად რედაქციებთან შეთანხმებისა მხოლოდ 15⁰/₀. აგენტებმა ჟურნალ-გაზეთების საფასი წინდაწინ იმდენი უნდა გამოჰგზავნონ, რამდენსაც ერთი თვის განმავლობაში გაიწერენ. **ნისიად არავის გაეგზავნება.** აგენტებმა, ვისაც ჩვენგან სურთ ჟურნალ-გაზეთები მიიღონ, დაუყონებლივ უნდა გამოგზავნონ ფული და დაბარება (,,ზაკაზი''), რომ მათ თავის დროზე გაეგზავნოს ჟურნალ-გაზეთები. ფული და ყოველივე ცნობა აუცილებლივ უნდა გამოიგზავნოს: Тифлисъ, Михайловскій проспектъ № 18. Контора „Гантіади'' Георгію Максимовичу Махарадзе. აგენტებს, რომელნიც ამ პირობებს არ შეასრულებენ, ჟურნალ-გაზეთების გზავნა მოესპობათ, მათ ადგილზე კი ახალი აგენტი დაინიშნება.



## „თემის" კონტორისაგან.

გაზ. „თემის" ნომრების გაყიდვა პროვინციაში და რკინის გზებზე ამა დეკემბრის 5-დან გადაეცა ჟურნალ-გაზეთების ცენტრალურ კონტორა

**„განთიადს"**

ამიტომ ყველამ, ვინც კი ჰყიდის ხოლმე თემის'' ნომრებს, ამიერიდან უნდა მიმართოს კონტორა „განთიადის" გამგეს **გიორგი მაქსიმეს-ძე მახარაძეს** შემდეგი მისამართით: Тифлисъ, Михайловскі пр. 18, контора,, Гантіади'', Георгію Максимовчу Махарадзе.

### თბილისი, 8 დეკემბერი.

მოქიშპე ერთა სახალხო საქმის მესვეურებს ჩვეულებად რომ ჰქონდეთ მოპირდაპირე ერის ისტორიის ამბების გადახედვა და შესწავლა, დარწმუნებული ვართ ბევრი უსიამოვნება, დავიდარაბა, ჩხუბი და შესაძლებელია ომიც თავიდან აშორდებოდათ მათ თანამემამულეებს. მაგრამ უბედურება ის არის, რომ გარდამეტებული ნაციონალიზმი თვალს უბრმავებს ბევრს მათგანს და ნებას არ აძლევს ღირსეული პატივისცემით მოექცენ მოპირდაპირე ერის ისტორიას. ეს პატივისცემის გრძნობა ჩანერგილი რომ გვქონდეს, ბევრი საკითხი თავისთავად გადაწყდებოდა.

მაგალითად, აიღეთ ოსმალეთის სომხეთის ავტონომიის საკითხი. ყოველი მიუკერძოებელი ადამიანი, გაეცნობა თუ არა ხსენებულ ადგილების ძველ ისტორიას, არ შეიძლება იმ აზრზე არ დადგეს, რომ სომხის ერის შვილებს სრული უფლება აქვთ ეს მისწრაფება, დღევანდელ ბრძოლის ლოზუნგად დაისახონ. ამიტომ ჩვენ არა გვიკვირია, როდესაც სომხეთის ავტონომიის მკვიდრთა სიმცირეზე გვითითებენ. ძალით რომ გარეკონ მთელი ხალხი მისი საბინადრო ტერიტორიიდან და დაასახლონ მის სამშობლო მიწა-წყალზე უცხო ელემენტი, განა ეს საბუთი იქნება ერის გაცამტვერებისა?

ასე რომ ყოფილიყო, ვინ იცის, რამდენი ხალხი დაჰკარგავდა დამოუკიდებლობას და თვითმმართველობას!... მაგრამ მის ისტორიას, მის გარდმონაცემს დიდი ძალა აქვს. ის ემსგავსება ისეთ ნაკვერჩხალს, რომელიც ფერფლ-მოყრილი ინახავს ცეცხლოვან ძალას და ელის წამს, რომ გაღვივდეს. დახედეთ მარტო ბალკანეთის ერების უკანასკნელ წლების ამბებს. რა სოლცარის სისწრაფით და მიმზიდველობით ერთდებიან ოდესღაც მტრის უხეში ძალით გადაჭრილი სამშობლო მიწა-წყლის ნაჭრები, რომელთ მოსახლეობას, ვინ უწყს რამდენი წელი დღიდან დაპყრობისა უცხო ტომისაგან, ასულდგმულებს დიადი მამულიშვილური გრძნობა სამშობლო ერის გაერთიანებისა. ჩვენ გვესმის აგრეთვე მრავალ-ტანჯულ პოლონეთის დღევანდელი საწადელი, რომელიც იგივე თვისებისაა, როგორც მისწრაფება ბალკანეთის ერებისა. დაგვრჩენია მხოლოდ ჩვენი მეზობელი მონათესავე ერის ლტოლვილება თავის იდეალისკენ... მაგრამ ამას განა სხვა რამე, განსაკუთრებული თვისება აქვს, რომ არ თანავუგრძნოთ? ჩაუკვირდით მის ისტორიას, გადიკითხეთ მრავალ-ტანჯულ ერის წამების ამბები სავსე მისი მატიანის კაბადონები წაკითხეთ თუნდ დღევანდელ ჩვენს ნომერში დაბეჭდილი ჩვენი გულწრფელ მწერლის **სიტყვას** წერილი და მერე გულზე ხელის დადებით გვიპასუხეთ ვინ არიან მართალი ოსმალეთის სომხების ავტონომიის მომხრენი, თუ მისი უარმყოფელნი... დიაღ! ასეთი ძალა აქვს ისტორიულ გარდმონაცემს. [illegible] ვერ აღმოფხვრის ვერარა ძალა... ამ[illegible] ხეთქავს მაშინ, როცა ზოგჯერ ა[illegible] კი ელიან... ამიტომ ყველა შორსმჭვრეტელნი და გონიერნი ვალდებულნი არიან სცენ პატივი ხალხის ისტორიას. ხშირად მარტო ეთნი[illegible] რეალური მოსახლეობის პრინციპი მოსაყენებელი არ არის, საჭიროა ისტორიისაკენაც მიხედვა. ამიტომაც ვუფრთხილდებით საქართველოს ყველა განაპირა ნაჭრებს და კუთხეებს. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენი მეზობელ ერების გონიერი და შორს მჭვრეტელი ელემენტებიც ასე უყურებენ ქართველების წადილს ისტორიის წმიდა გარდმონაცემის და ნაშთების დაცვისას. ამას წინად ერთ საგულისხმო კერძო კრებაში გავიგონეთ მრავალ მნიშვნელოვანი სიტყვები ერთ უცხო პირისაგან: ქართველი ერი არ მოკვდება, რადგანაც მას ისტორია აქვსო. ჭეშმარიტი და მართალი სიტყვებია! მაგრამ რად ვსჩადივართ, ჩვენ თვითონ ისეთ რამეებს, რომელიც ჩვენთვის, როგორც ისტორიულ ხალხისათვის, მომაკვდინებელია? რატომ არ ვიხსენიებთ საჯარო ოფიციალურ სიტყვებში, რომ თბილისი საქართველოს დედა-ქალაქია. ამით ვითომ ვის რა აკლდება? განა ეს ისტორიის ჭეშმარიტების ღალატია? განა იმ მიწის ყოველი ნაჭერი, რომელზედაც გაშენებულია ეს უძველესი ქალაქი ქართველთა ერისა, არ ჰღაღადებს ამ ერის წარსულ მრავალტანჯულ ცხოველმქმედებაზე, რომ ჩვენ თვითონ ის მოქმედებამ შექმნა თბილისი... რა ვუყუროთ, რომ დღეს სხვა ტომიც მოსახლეობს ჩვენს დედა-ქალაქში და აჭარბებს კიდეც ჩვენს მკვიდრთა რიცხვს? განა პარიზი, პეტროგრადი და სხვა დიდი ქალაქები მარტო ფრანგებისაგან და რუსებისაგან შესდგებიან? და თუ ჩვენ თვითონ ასე ვექცევით ჩვენს მამა-პაპათა სამკვიდროს, რა უნდა მოვკითხოთ სხვებს, რომელნიც თრთიან, ეშინიათ თბილისი ახსენონ როგორც საქართველოს ქალაქი, თითქო, თუ ეს მოიხსენიეს მათ თვითონ, ან მათ ნათესავებს რამე წაერთმევათ.

აი სადამდის მივყევართ საურთიერთო უპატივცემულობას... გონიერი შორსმჭვრეტი ელემენტი ამასაც მოიხსენებდა და ბევრს სხვასაც, რადგანაც არც ისტორიას და არც ჭეშმარიტებას არ უღალატებდა და ერთა სოლიდარობასაც დიდ სამსახურს გაუწევდა, რადგანაც ჩააჩუმებდა ისეთ ხალხს, რომელიც დღეს ამგვარ მაგალითებით სარგებლობს ერთა ურთიერთობის გასამწვავებლად...

მაგრამ, რას ვამბობთ, ყველა ამას ხომ სჭირდება მცირე რამ: „გული წმინდა და სული სპეტაკი''.

სამწუხაროდ, უბედურება იმაში მდგომარეობს, რომ სწორედ ეს ,,მცირე რამ'' ბევრს ჩვენგანს აკლია.

## სომხების ავტონომია და ქართველობა.

,,სახ. ფურცლის'': 5 დეკემბრის ნომერში დაბეჭდილია შემდეგი საგულისხმო წერილი ცნობილ პუბლიცისტის **ბ. სიტყვასი:**

„ეხლანდელმა მსოფლიო ომმა წინ ამოაყენა სხვათა შორის სომხების ეროვნული საკითხი. სომხის ერის ბედი მრავალ ტანჯულია, მისი ისტორიული ცხოვრება ბევრით მოგვაგონებს ჩვენს ცხოვრებას. მას შემდეგ, რაც სომხებმა პოლიტიკური დამოუკიდებლობა დაჰკარგეს, ხან ერთს ბატონს ემონებოდნენ, ხან მეორეს; მათი მიწა-წყალი დაიქსაქსა, დანაწილდა, მტრების სათარეშო გახდა; ხალხი აწიოკებულს, დევნილს გაოხრებულს მამულს გაექცა და სხვაგან გარდაიხვეწა და მის ალაგას უცხოელები დაბინავდნენ. ეხლანდელი სომხეთი წინანდელი აღარაა, სომხის ერის ნაცვლად ბევრგან სხვები მოსახლეობენ...

„ბოლო დროს სომხეთის ტერიტორია სამი სახელმწიფოს ფარგალში მოემწყვდია. ეს სამი სახელმწიფოა— რუსეთი, ოსმალეთი და სპარსეთი. სომხის ერის მდგომარეობა ყველგან ერთნაირი არაა, ყველგან ერთნაირად არ იყო შევიწროვებული სომხების ეროვნული თვითშემეცნება და შემოქმედება. მაგრამ ამ დანაწილების უმთავრესი შედეგი ის იყო, რომ სხვა დასხვა კულტურისა და ცხოვრების სახელმწიფოში ყოფნამ ძალზე დაახიანა ეროვნული თვით-არსება, შელახა და შერყვნა ეროვნული ტიპი და ხასიათი სომხის ხალხისა და დააშორა ერთმანეთს ერთი ერის ღვიძლი შვილები. ეს ყველაზე უმძიმესი ტრაგედია იყო სომხის ერისა.

„ხოლო მრავალი საუკუნის განმავლობაში ქირსა და ვარამსა შიგან გამოწრთობილი სული ერისა მთლად არ ჩაჰქრა; მთლად არ მისწყდა ცეცხლსა და სისხლში განვლილი ხალხის მაჯის ცემა; მთლად არ წაიშალა ათასნაირის განსაცდელის და ტანჯვა დევნის მეოხებით ერის თავისებური სახე, გამომეტყველება ერის გონიერებისა, არ დადუმდა გული მღაღადებელი ერის სიძულვილის და სიყვარულისა, ლტოლვისა და მისწრაფების, ოცნების და სინამდვილისა. მრავლად დასერილს დასახიჩრებულს ეროვნულს სხეულს დღემდის შერჩა სიცოცხლის ძალა, დედამიწის ზურგიდან არ აღგვილა მა[illegible] ძვირფასი სახსენებელი სამშობლო ჰაისტანი, არ მოკვდარა ჰაიოსის მემკვიდრე ერი და სომხეთის განადგურებულს მინდვრებსა და მთებში, გადამწვარსა და მინგრეულს ქოხებში ისევ გაისმის მამულის და ერის მოწოდება აღდგენისა და განახლებისათვის.

„სომხეთი ჰაისტანი არსებობს. ცოცხლობს სომხის ერი, ერი ძლიერი ყველაზე უწინარეს სიცოცხლის წყურვილით, თავის განწირვითა და მსხვერპლით და შეურყეველი იმედით იმისა, რომ ღირსია თავისუფლების, თავისუფალი, ეროვნული ცხოვრების და რაც უნდა დაბრკოლება და ზღუდე გადაელობოს წინ, მაინც მიაღწევს საწადელს და მოიპოვებს ერის არსებობის და განვითარების აუცილებელს პირობებს! ამ ჟამად სომხების სატრფიალო საგანია პოლიტიკური თვითმართველობა, ავტონომია ოსმალეთის სომხეთის საზღვრებში, ამისკენ მიისწრაფვის დღეს ყველა სომეხი განურჩევლად მიმართულებისა და რწმენისა, ეს მიაჩნიათ მტკიცე საფუძვლად თავის ერის აღორძინებისა და დაცვისათვის და ჩვენ სავსე გულითა და წრფელის სულით შეგვიძლია მხოლოდ მივესალმოთ სომხებს, გამოვუცხადოთ სრული თანაგრძნობა და მივაწოდოთ, თუ სხვა არა, ზნეობრივი დახმარება, რომ მალე და სრულიად შეისრულონ სურვილი.

„ეს ჩვენი მოვალეობაა ადამიანურ მოქალაქობრივი, მოვალეობაა მეზობლური. კაცობრიობის კულტურის სიღრმავე და სიძლიერე ერთა თავისებური შემოქმედებაა; ეს შემოქმედება შესაძლებელია მხოლოდ თავისუფალ არსებობის მეოხებით და რაც უფრო მეტს ერს მიეცემა საშუალება თავისუფალი ცხოვრებისა და შემოქმედებისათვის, მით უფრო დაწინაურდება მთელი კაცობრიობა, მით უფრო მდიდარი და აყვავებული იქნება საერთო კულტურა. და თუ სომხის ერი თავისუფლებას მოიპოვებს,—ეს ჩვენში სიხარულისა და თანაგრძნობის მეტს ვერავითარს გრძნობას ვერ აღძრავს.

„მაგრამ არის მეორე გარემოებაც. ქართველობა და სომხები მეზობლები ვართ, მეზობლები არა მარტო დღეს და არა მარტო იმით, რომ სომხები საქართველოს საზღვრებში და კავკასიაში სცხოვრობენ, სომხები და ჩვენ ბევრში ვენათესავებით ერთმანეთს. ჩვენსა და მათ კულტურას ბევრი რამ აქვს საერთო, ჩვენი და მათი ცხოვრება მრავალი საუკუნის განმავლობაში გადადიოდა ერთი მეორეში. ჩვენსა და სომხებში ბევრი მსგავსებაა და რაც უნდა წარმავალი უსიამოვნება და გაუგებრობა არსებობდეს ჩვენს შორის, ისე არავის შეუძლიან შეიგნოს და შეითვისოს ერთმანეთის გაჭირვება და დალხინება, როგორც ჩვენ სომხების და სომხებს ჩვენი. ქართველისთვის უფრო ახლოა სომხის ერის ბედი და სომხისთვის ქართველისა, ვიდრე სხვა რომელიმე ერისათვის. ეს დიდი სინამდვილეა, რომლის არ დანახვა ყოვლად შეუძლებელია და რომელსაც ვერ დაფარავს ქართველ-სომეხთა ეხლანდელი დროგამოშვებითი შუღლი და განხეთქილება.

„ჩვენ არ უნდა ვხედავდეთ მხოლოდ იმას, რაც ზედაპირზეა, რაც ყველაზედ მეტად ყვირის და ბრჭყვიალებს. უნდა დავინახოთ უფრო ის, რაც ღრმადაა ჩანერგილი, რაც უფრო საფუძვლიანად და არსებითად საზღვრავს ერების ურთიერთობას. ბევრის მაგალითის დასახელება შეიძლება, რაიც ერთმანეთის მტრობას, გაუტანლობას და ღალატს მოწმობს. მაგრამ არის უფრო ღრმა და ძლიერი სინამდვილე —ესაა შეუძლებლობა ჩვენის არსებობისა, თუ არ დავემყარეთ ერთმანეთის უფლების პატივისცემას და ღირსების დაფასებას. რაც უფრო ფართოდ შევიგნებთ სომხები და ქართველები და მთლად კავკასიელები, რომ ერთმანეთის ბედნიერებას უნდა ვფიქრობდეთ და არა დაღუპვას, მით უფრო დაწინაურდება საერთო საქმე საერთოდ და თითოეულის ცალკე. ჩვენ მეზობლები ვართ, ნათესავები, ბევრი ჭირი და ლხინი გვაქვს საზიარო—ეს ბევრს ნიშნავს, ბევრის მომასწავებელია და ნურასდროს ნუ დავივიწყებთ, რომ მეზობლის ერთი მეგობრული ხელი უფრო ძვირფასია გასაჭირში, ვიდრე შორეულის ორი ხელი, და თუნდ ათი.

„ამ მხრივაც სრულის თანაგრძნობით უნდა მივეგებოთ სომხეთის ავტონომიას, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ ხელს შეუწყობს სომეხ-ქართველთა კეთილ-მეზობლობას ჩვენის სამშობლოსა და კავკასიის ფარგალში, რასაც მივუძღვნით სომხის ერს, იმასვე მოვეძღვნის ჩვენ და იმგვარისავე სულითა და გულით შეხვდება ჩვენი ეროვნული ცხოვრების გაუმჯობესებას, როგორც დღეს ჩვენ მივესალმებით მის აღორძინებას''.

## ხელმწიფე იმპერატორი თბილისში. *)

### I

ხელმწიფე-იმპერატორი ნიკოლოოზი თბილისს ეწვია 26 ნოემბერს დილის 11 საათსა და 55 წ. ვოგზალზე დაუხვდენ ადგილობრივ მთავრობის წარმომადგენელნი, აგრეთვე მანდილოსნები ქალაქის წრისა. ამათ გარდა იყვენ თბილისის გუბერნიის და მაზრის თავად-აზნაურობის წინამძღოლნი თავ. კონსტ. აბხაზი, თავ. მიხ. სუმბათაშვილი, ქალაქის თავი ალ. ხატისოვი, მისი მოადგილე თავ. ალექს. არღუთინსკი-დოლგორუკოვი, ვაჭართა მამასახლისი არ. მილოვი, უგანათლ. თავადი პეტრე გრუზინსკი, კამერ-იუნკრები გრიგოლ ყარანგოზიშვილი და პავლე თუმანიშვილი.

შესაფერი სიტყვით მიესალმენ გუბერნიის მარშალი და ქალ. თავი. ხელმწიფემ ,,გულწრფელი მადლობა განუცხადა თავად-აზნაურობას იმ სიყვარულისა და ერთგულების გრძნობის

*) შედგენილია „კავკასის" აღწერილობის თანახმად.

გამო, რომელიც გამოჰხატა მისი სახელით წინამძღოლმა და თავის სიხარული გამოსთქვა, რომ ამ შესანიშნავ დროს იმყოფება თავად-აზნაურთა შორის.“ ქალ. თავმა სიტყვისთანავე მიართვა პურ-მარილი. მეფემ მადლობა გადაუხადა ქალ. თავს სიყვარულის და ერთგულების მხურვალე გრძნობებისათვის, რომლის გულწრფელობაში მის უდიდებულესობას ეჭვი არასოდეს არ დაჰბადებია. ქალაქის თავის შემდეგ მიესალმა ვაჭართა მამასახლისი, რომელსაც აგრეთვე გადუხადა მადლობა მეფემ. ვოგზლიდან ხელმწიფე ავტომობილით გაემართა სიონის ტაძრისკენ (ვერის ხიდის მიმართულებით). ავტომობილში მარცხნივ უჯდა ობერ-ჰოფმარშალი გენ.-ად. გრაფი ბენკენდორფი. ხელმწიფეს ეცვა მუქი რუხისფერი ჩერქეზული ტანისამოსი—ყუბანის ყაზახთა ჯარის ფორმა. ტაძარში მიესალმა ეგზარხოსი პიტირიმი შესაფერი სიტყვით. შემდეგ ხელმწიფემ მოისმინა პარაკლისი. პარაკლისის გათავების შემდეგ ხელმწიფემ დაათვალიერა ტაძარში დაცული ორი ძველი მიტრა ქართველ კათალიკოსებისა, რომელთაგან ერთი ბაჯაღლო ოქროსაგან არის გაკეთებული, მეორე-კი მთლად მოჭედილია მომსხო თვალ-მარგალიტით და სხვა ძვირფასი ისტორიული ნივთები და გამოჰკითხა ეგზარხოსს ქართველ კათალიკოსობის შესახებ. ეგზარხოსმა სამღვდელოების სახელით მეფეს მიართვა ივერიის ღვთის-მშობლის ხატი, რისათვის ხელმწიფემ მადლობა გადუხადა. სიონის ტაძრის შემდეგ ხელმწიფე წაბრძანდა ვანქის ტაძარში, სადაც შესაფერის სიტყვით მიესალმა სომეხთა კათალიკოზი გევორქ V. ვანქის ტაძრის შემდეგ ხელმწიფე გაემართა შიების და სუნნების მეჩითებისაკენ. პირველ მეჩითში მეფეს მიესალმა არაბულად შეიხ-ულ-ისლამი, მეორეში — მუფთი ჰუსეინ-ეფენდი-გაიბოვი. ორ საათზე ხელმწიფე მივიდა მეფისმოადგილეს სასახლეში, სადაც დანიშნული იყო უმაღლესი ბინა და რომელზედაც სამეფო ალამი აღიმართა.

ქალაქი მორთული იყო დროშებით, ამართული იყო ზოგან მაღალი ანძები, სატრიუმფო ჰისკრები და სხვ. ხალხით გატენილი იყო ქუჩები.

იმავე დღის ხელმწიფემ ნაშუადღევის 4 ს. 28 წ. დაათვალიერა ლაზარეთი კავკასიის ხომხის საქველმოქმედო საზოგადოებისა, სადაც წმ. გიორგის ლენტითა და მედლით დააჯილდოვა ოცდათამდე ჯარისკაცი; მათ შორის ორი სომხის მოხალისე ანდრანიკის რაზმიდან. ხელმწიფემ თავის სახელი ჩასწერა ლაზარეთის საპატიო დამთვალიერებელთა წიგნში. ხელმწიფეს მიართვეს დაჭრილთა ალბომი, რომელშიაც მოთავსებული იყო ლაზარეთის სხვა და სხვა სურათები, აგრეთვე დაჭრილთა და სამკურნალო პერსონალისა.

ამის შემდეგ მეფე ესტუმრა ვაჭართა და სამამასახლისო პალატის ლაზარეთებს, სადაც დაურიგა მედლები მამაცობისათვის დაჭრილ ჯარისკაცებს.

27 ნოემბერს 9 საათიდან სასახლეში წარუდგენ ხელმწიფეს სამხედრო და სამოქალაქო უწყების მოხელენი, თავად-აზნაურობის, ქალაქის, ვაჭართა და გლეხთა წარმომადგენელნი, აგრეთვე უმაღლესის კარის კამერჰერი თავ. გიორგი ალექს. ბაგრატიონ-დავითიშვილი.

სამოქალაქო უწყების მოხელეთა შემდეგ იდგენ დეპუტაციები; 1) თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურობისა: გუბერნიის წინამძღოლი თავ. კონსტ. ნიკ. აბხაზი, მაზრის მარშლები: თბილისისა თავ. ალ. მიხ. სუმბათაშვილი, თელავისა უმაღლესი კარის კამერ-იუნკერი თავ. მაქს. ზაქ. ჭავჭავაძე, სიღნაღისა თავ. მალხ. ა. ანდრონიკაშვილი, დუშეთისა თავ. გ. ა. ბაგრატიონ მუხრან-ბატონი, მაზრის მარშლების თანაშემწეები, თავად-აზნაურობის დეპუტატები და სხვა თავად-აზნაურნი; 2) ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურობისა: გუბერნიის წინამძღოლი თავ. დავ. ოტ. ნიჟარაძე, ყოფილი გუბ. მარშალი თავ. სვ. დავ. წერეთელი, მაზრის მარშლები: ოზურგეთისა თავ. კონსტ. დავ. ერისთავი, შორაპნისა თავ. პეტრე ალ. წერეთელი, ზუგდიდისა თავ. ნ. ი. დადიანი; სენაკისა თავ. ნ. ნ. დადიანი; ლეჩხუმისა თავ. იას. დავ. გელოვანი; რაჭისა დავ. ივლ. ჯაფარიძე, თავად-აზნაურობის დეპუტატები და სხვა თავად-აზნაურნი. თავად-აზნაურთა დეპუტაციების შემდეგ იდგენ ქალაქის თვითმართველობის დეპუტაცია ქალაქის თავის მეთაურობით.

10 საათზე გამობრძანდა მეფე. შესაფერი სიტყვა წარმოსთქვეს თბილისის და ქუთაისის გუბერნიის მარშლებმა. პირველს მეფემ შემდეგი უპასუხა: „გადაეცით თბილისის თავად-აზნაურობას ჩემი გულითადი მადლობა სიყვარულის და ერთგულების გრძნობათა გამოცხადებისათვის. განსაკუთრებით სასიამოვნოა ჩემთვის თქვენი ნახვა ამ მძიმე და თვალსაჩინო დღეებში. ღვთის შემწეობით გავიმარჯვებთ მედგარ და ძლიერ მტერზე, რომელსაც სძლევენ ჩვენი ქებული მამაცი ჯარები. რუსის ჯარს წინ არაფერი დაუდგება“. ქუთაისის მარშალს მეფემ დაავალა „გადასცეს თავად-აზნაურობას გულითადი მადლობა მისი უდიდებულესობისა სიყვარულის და ერთგულების გრძნობათა გამოცხადებისათვის. მისმა უდიდებულესობამ კეთილ ინება თავის სიხარულის გამოცხადება ქუთაისის თავად-აზნაურობის წარმომადგენელთა ნახვის გამო ამ თვალსაჩინო დღეებში, რომელიც დაუდგა რუსეთს.“

შემდეგ სიტყვით მიჰმართა ქალ. თავმა ალ. ხატისოვმა, რომელმაც, სხვათა შორის, სთქვა:

„ამ ჩვენი ცხოვრების დიდ ტანჯვის დროს ომმა დაჰფარა სხვა ყველა ჩვენი აზრი და ნატვრა; მაგრამ, რომ მთელი ჩვენი სული და გული გადაშლილი იყოს თქვენს წინაშე, ხელმწიფეო, ჩვენ ვკადნიერდებით და მოგახსენებთ, რომ აზრიც და გრძნობით ვუერთდებით ჩვენი დიდი სამშობლოს ყველა მცხოვრებლებს და ღრმადა გვწამს ის ბედნიერი ახლო მომავალი, როდესაც ჩვენ სრულიად ზიარი გავხდებით იმ კულტურულ სიკეთეებისა სასამართლოს, უმაღლესი სკოლის და ერობას სფეროში, რომლითაც სარგებლობს ცენტრალური რუსეთი. დიდია ღმერთი რუსეთის ქვეყნისა!“

ქალ. თავს ხელმწიფემ უპასუხა: „გულითადად ვმადლობ ძველ ქალაქ თბილისს იშვიათ მხურვალე მიღებისათვის, რომელითაც გუშინ დამხვდენ. გთხოვთ გადასცეთ ყველა მკვიდრთ ჩემი გულითადი მადლობა ამ გულწრფელ გამოცხადებისათვის სიყვარულისა და ერთგულების გრძნობათა, რაც ძველთაგანვე აერთებს კავკასიას და რუსეთს. ვიმეორებ, მე ბედნიერი ვარ, რომ მოვედი რამდენიმე დღით შორეულ ჩრდილოეთიდან და პირადად დავრწმუნდი, რომ თქვენი გული ერთად სცემს დანარჩენ რუსეთის და ჩემ გულთან. ეს მშვიდობიანი რწმენის მტკიცე თავმდებია, რომ ჩვენს ბრძოლას მტერთან მოჰყვება კეთილი და დიდებული შედეგი. ეს შედეგი იქნება აგრეთვე საკეთილო რუსეთის საუკეთესო მარგალიტის —ჩემი გულისათვის ძვირფას კავკასიისათვისაც.“

შემდეგ სიტყვა წარმოსთქვეს ვაჭართა მამასახლისმა, მოლოკნების წარმომადგენელმა სტ. ჟაბინმა. თბილისის გუბერნიის სოფლის საზოგადოებათა დეპუტაციამ მიართვა ხელმწიფეს ხონჩით პურ-მარილი. მას მიჰმართა ხელმწიფემ შემდეგი სიტყვებით:

„გადაეცით თქვენს გამომგზავნელ თანასოფლელებს ჩემი გულითადი მადლობა. მოხარული ვარ, რომ ვიმყოფები თქვენს მიწა-წყალზე და მადლობას გიცხადებთ სიყვარულისა და ერთგულებისათვის და იმისათვისაც, რომ მზადა ხართ გამოესარჩლოთ ჩვენს დედა-რუსეთს მტერთან ბრძოლაში“.

დეპუტაციების მიღება გათავდა დილის 11-სა და 10 წ. ნაშუადღევის, 2 ს. 25 წ. ხელმწიფე მობრძანდა არამიანცის საავადმყოფოში, სადაც დაათვალიერა დაჭრილები და ზოგიერთებს მედალი დაურიგა. ერთი მედალი ხვდა დაჭრილ სომეხ-მოხალისეს. მეფემ დაათვალიერა აგრეთვე ზუბალაშვილის პავილიონიც, სადაც წვანან დაჭრილები. არამიანცის საავადმყოფოდან გამოსვლის დროს მეფემ კეთილ ინება და თავის სურათის გადაღება დართო საავადმყოფოს მკურნალთა და მოწყალების დებთან ერთად.

შემდეგ მეფემ დაათვალიერა ცენტრალური ლაზარეთი საგუბერნიო საპატიმროში. აქაც ზოგიერთ დაჭრილებს დაურიგა მედლები. საღამოს 6 ს. და 8 წ. დასტოვა ლაზარეთი.

საღამოს 9 საათზე სასახლესთან მივიდენ თბილისის საშუალო სასწავლებელთა მასწავლებელნი მოწაფეებითურთ რომელთაც ხელში სავადასხვა ფერის ფარნები ეჭირათ. ამ გუნდებს წინ მოუძღოდენ სასწავლებლისავე ორკე[სტ]რები. როცა ყველანი შეგროვდ[ნენ] სასახლის წინ, ყველამ იგალობეს ჰიმ[ნი] და იმღერეს რამდენიმე პატრიოტუ[ლი] სიმღერა. ამ დროს ხელმწიფე ფანჯარასთან იდგა და უყურებდა იქიდან. როცა სიმღერა—გალობა გაათავეს მოწაფეებმა, ხელმწიფემ თავი დაუკრა.

# ევროპის ომი

**დეპეშები პეტროგრადის სააგენტოსაგან.**

7 დეკემბერს დილის მიღებული.

**პეტროგრადი,** 6 დეკემბ. ოფიციალურად. უმთავრეს სარდლის შტაბისაგან. ვისლას მარჯვენა ნაპირე ცვლილება არა არის რა. არტილერიამ ხელი შეუშალა მტერს გადასულიყო ვისლას მარჯვენა ნაპირზე დობრჟინსთან. მტერმა დასტოვა მისგან დაჭრილი კუნძული ვისლაზე. ჩვენ ჩაგვივარდა ხელში მისი პონტონები. ბზურაზე ბრძოლა ვითარდება. ჩვენმა ჯარებმა მოიგერეს რამდენჯერმე გერმანელების მოსევა. ვისლას მარცხენა ნაპირთან მდებარე დანარჩენ რაიონში შეტაკება ხდებოდა მოწინავე რაზმების შორის.

დასავლეთ გალიციაში 5 დეკემბრს ღამით მდ. დუნაეცის მარცხენა ნაპირზე ჩვენ წამოვასხით ათასამდე ტყვე გერმანელთა დივიზიიდან, რომელიც ადრე გვებრძოდა ამ რაიონში.

პრჟემიშლის გარნიზონის შესამჩნევი ნაწილი ცდილობს გაიკვლიოს გზა ბირჩისაკენ. ჩვენი ჯარები იბრძვიან კარგ პირობებში.

ოფიციალურად. საზღვაო გენერალური შტაბი გვაუწყებს, რომ პორტსაიდში მისულ კრეისერ „ასკოლდის“ კომანდირის მოხსენებით, კრეისერმა დაზვერა ზღვა სირიის სანაპიროს გასწვრივ და ჰაიფას ნავთსადგურში ხელთ იგდო გერმანული გემი. ეს პრიზი ოფიცრის უფროსობით გაგზავნილმა ცალკე კომანდამ მიიყვანა პორტ საიდში. მივიდა თუ არა ბეირუთში, კრეისერმა „ასკოლდმა“ ააფეთქა იქ მყოფი ერთი ოსმალური გემი და დალუპა ზღვაში მეორე. სირიის ნაპირების ექვს ადგილას კრეისერმა მიჰგზავნა დასაზვერად თავის ნავები კომანდირიანა.

5 დეკემბ. საღამოს 11 საათზე: ჩვენ დავიჭირეთ ტერიტორიის ნაწილი დიუნების გასწვრივ ნიუპორიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით. იპრ - მანენის გზიდან ჩრდილოეთით ჩვენ მოვიგერეთ მტრის ორი მკაცრი მოსევა. ინგლისის ჯარებმა რამდენადმე გაიწიეს წინ არმანტიერის ოლქში. ჩვენმა არტილერიამ დაანგრია მტრის მიმე ზარბაზნები. ორი ბატარეა ვერდენის ოლქში. სხვაგან მნიშვნელოვანი არა მომხდარა-რა.

**ლონდონი,** 6 დეკ. „დეილი ტელეგრაფს“ აცნობებენ დეპეშით, რომ ფრანგ-ინგლისელთა მოწინავე რაზმებმა დაიპყრეს როულერი. მთელი ინქსმიუდე დაიჭირეს მოკავშირეებმა, „დეილი ქრონიკლი“ გვაცნობებს, რომ ჩრდილო საფრანგეთში მოკავშირეებმა წინ გაიწიეს დიქსმიუდიან ჩრდილოეთით და ნიუპორიდან სამხრეთით. დაიჭირეს თუ არა როულერი, მოკავშირეებმა გაიწიეს მიდდელკერკემდის.

**ლონდონი,** 5 დეკემბ. პრესის ბ[იუ]რო გვაცნობებს, რომ მას არა ა[ქვ]ს ცნობა 3 ინგლისურ დამლუპველ[ის] ვების მოსპობის შესახებ, რომლი[ს შე]სახებ ამბობენ გერმანული რადიოტე[ლე]ლეგრამები. საზღვაო სამინისტრო გვ[ა]უწყებს, რომ გერმანულ კრეისერებ[ის] უკანასკნელ თავდასხმის დროს ინ[გ]ლისის სანაპიროზე არც ერთი ბრ[ი]ტანული სამხედრო გემი არ დაზიან[ე]ბულა. ყველა გერმანული ცნობა ამ შესახებ სიცრუეა.

**ლონდონი,** 5 დეკ. აქამდი[ს] არის შედგენილი ოფიციალური ს[ია], თუ რამდენი დაიღუპა იმ დროს რ[ო]დესაც გერმანულმა ფლოტმა ყუმბა[რა] დაუშინა ინგლისის სანაპიროს. გაზ[ე]თების ცნობით დაზარალდა 46 კაც[ი] ჰარტლპულში დაიხოცა 90 კაც[ი] სკარბოროში 17, უიტბში—2, დაიჭ[რა] ჰარტლპულში—250, სკარბოროში—100, უიტბში—2. ჰარტლპულ[ში] დ[აზ]იანდა 85 შენობა; ამათ [შორის] საქალაქო სახლი, 4 ეკლესია [და] სკ[ო]ლა, სკარბოროში 2 სასტუმრო ძველ[ი] ციხე-დარბაზი, მრავალი სახლი და ე[კ]ლესია, უიტბში—რამდენიმე [შე]ნობა ეკლესია და ძველი სააბატო.

**პარიზი,** 6 დეკემბ. ბრიტანს მთა[ვრობამ] ... ვრობამ აცნობა საფრანგეთისას, რომ მას განზრახვა აქვს გამოაცხადოს თავის პროტექტორატი ეგვიპტეზე. საფრანგეთს საწინააღმდეგო არა აქვს რა. ინგლისმა დაადასტურა საფრანგეთის პროტექტორატი მაროკოზე.

ამის გამო „ვესტმინსტერ-გაზეტი“ ამბობს რომ ინგლისის პროტექტორატის გამოცხადება ეგვიპტეზე არ ნიშნავს მკვიდრთა სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებების შეცვლას, იგი მხოლოდ სარგებლობას მოუტანს მცხოვრებლებს. „ტაიმსი“ თავის მხრით ამბობს, რომ პროტექტორატი მხოლოდ მოაწესრიგებს წინანდელ არა ნორმალურ მდგომარეობას. ეს აქტი არ ნიშნავს ანნექსიას და არ ათავისუფლებს ეგვიპტეს ყოველწლიურ ხარკის—550 ათას გირვანქა სტერლინგის გადახდისაგან ოსმალეთის სასარგებლოდ, რადგანაც ეს თანხა დანიშნულია ოსმალეთის ორ სახელმწიფო ვალის გასაბათილებლად.

**ლონდონი,** 6 დეკ. ირლანდიელთა ლიგის თავმჯდომარემ ოკონორმა მიიღო ნიუიორკიდან ირლანდიელ ნაციონალისტთა კონვენტისაგან დეპეშა, რომ მრავალი ირლანდიელი ეწერება ბრიტანიის არმიაში.

**სოფია,** 5 დეკ. ოსმალეთის მთავარი სამხედრო შტაბი აცხადებს: გუშინ ინგლისის კრეისერმა ყუმბარა დაუშინა ერთს ჩვენს ბლოკჰაუზთაგანს იაფესა და ჰაზას შუა.

**ლონდონი,** 5 დეკ. ჰოლანდიის „ამსტერდამ - ტელეგრაფს“ აცნობებენ, რომ გერმანელებმა 2 მილიონ ფრანკის ყოველთვიური კონტრიბუცია დაადეს ბელგიის პროვინცია ლიმბურგს.

**ტოკიო,** 5 [illegible] მისცეს მთავრობას ორ ახალ დივიზიის შესადგენად. პარლამენტის დათხოვნა აუცილებელია მომავალ კვირას. გარეშე საქმეთა მინისტრმა განაცხადა, რომ იაპონიის მთავრობას ჩინეთისათვის არავითარი დაპირება არ აღუთქვამს ცინდაოს დაგიბრუნებო.

პარლამენტმა ერთხმად მიიღო ხუთ მილიონ ნახევარ იენის კრედიტი საგვირგვინოსნო ზეიმის მოსაწყობად.

გამოირკვა, რომ ცინდაოში გერმანელებმა დაჰკარგეს 180 მოკლული და 290 დაჭრილი.

## კვირის განმავლობაში.

**2 დეკემბერი. გერმანიის ფრონტი.** რუსის ჯარები მარჯვეთ მიიწევენ წინ მლავის მიმართულებაზე. გერმანელები უკან იხევენ საზღვრებისაკენ. ლოვიჩ-ილოვის ფრონტზე რუსებმა დაამარცხეს გერმანელები და დაიჭირეს ახალი პოზიცია მდ. ბზურის ჩრდილოეთით.

**ოსმალეთის ფრონტი.** ოსმალები დამარცხდენ ბრძოლაში პირიუსკსა და დუთახთან და დაიხიეს მდ. ევფრატის იქით. სოფ. ბაშკალასთან ბრძოლაა.

**სერბიის** ჯარებმა დაიჭირეს ბაინაბაშტა, როგატიცა და კრასნიცა; შავგორელებმა კი ვიშეგრადი.

**3 დეკემბერი. გერმანიის ფრონტი.** მლავის მიმართულებაზე გერმანელები უკან იხევენ.

**ოსმალეთი.** ინგლისის წყალქვეშა ნავი დარდანელის სრუტეში შევიდა და დაღუპა ოსმალეთის ჯავშნოსანი „მესუდიე“.

**4 დეკემბერი, გერმანიის ფრონტი.** ვისლას მარცხენა ნაპირზე გერმანელები მრავლად ჰკრებენ თავის ძალებს. 1 დეკემბრიდან მედგარი ბრძოლა დაიწყო ლოვიჩსა და ვისლას შუა, ბზურას მარცხენა ნაპირზე. დღის განმავლობაში რუსებმა რამდენადმე წაიწიეს წინ.

**სერბიელებმა** დაიჭირეს ბელგრადი ზვორნიკი, ლოზნიცა და შაბაცი. ავსტრიელების დევნა გრძელდება.

სკანდინავია. 5 დეკემბერს მალმეში მოხდება შვეციის, ნორვეგიის და დანიის მეფეების თათბირი.

**5 დეკემბერი, გერმანიის ფრონტი.** გერმანელები უკუ აქციეს რუსებმა საზღვრებისაკენ მლავის მიმართულებით ვისლას მარჯვენა ნაპირზე 2 დეკემბერს გერმანელები მედგრად ესეოდენ რუსებს კერნოზიდან სოხაჩევისკენ. საღამოს რუსებმა სტრატეგიულის მიზნით უკან დაიხიეს.

**ავსტრიის ფრონტი.** ავსტრიელებმას წინ წამოწევა კარპატების იქიდან შეჩერებულია.

**ბელგია.** მოკავშირეებმა დაიწყეს წინ წაწევა.

**საფრანგეთი.** ალზასში ფრანგები იცავენ ყველა იმ პოზიციებს, რომელნიც მათ უკანასკნელ დღეებში დაიჭირეს.

**სერბია.** მთელი სერბია განთავისუფლებულია ავსტრიელებისაგან.

**6 დეკემბერი. გერმანიის ფრონტი.** მლავის მიმართულებაზე რუსებმა გადალახეს საზღვარი გერმანელების დევნის დროს.

**ავსტრიის ფრონტი.** პრჟემიშლის გარნიზონის თავდასხმა რამდენჯერმე მოიგერეს რუსებმა.

**ინგლისი.** გერმანულმა სამხედრო გემებმა ყუმბარა დაუშინეს დიდი ბრიტანიის სანაპიროს: ჰარტლპულს, უიტბს და სკარბოროს. ინგლისის სადარაჯო ესკადრის ცდამ, გერმანელების გემების უკან დახევის გზას გადაჭრისკენ მიმართულმა, ამაოდ ჩაიარა.

**7 დეკემბერი. გერმანიის ფრონტი.** მდ. ვისლას მარცხენა ნაპირზე სრული სიწყნარეა.

სანოკ-ლისკოს ფრონტზე რუსები მარჯვედ მიიწევენ წინ. ტყვედ წამოყვანილია 3.000 ჯარისკაცი, ზარბაზნები და ტყვიის მტყორცნელები.

**ბელგია.** მოკავშირეებმა წინ გაიწიეს იპრიდან ჩრდილოეთით და დიქსმუიდიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით.

**საფრანგეთი.** ფრანგები თავს ესხმიან გერმანელებს არრას-პერრონის ლარზე. მათ უკვე შესამჩნევად წაიწიეს წინ.

## ახალი ამბები

✦ 15 დეკემბრიდან თბილისში გამოსვლას დაიწყებს ახალი ქართული **საორშაბათო** გაზეთი „ჩვენი დროება“.

✦ 6 დეკემბერს შაბათს „საზოგადო კლუბში“ ს. კაკაბაძემ წაიკითხა საინტერესო რეფერატი ქართველ მაჰმადიანების შესახებ. რეფერატის შემდეგ გაიმართა კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს პრ. კრასნოვმა, ე. სულთანოვმა, ბ. ზერცალოვმა და სხვა.

✦ გაზ. „კავკაზსკოე სლოვო“ უცნაური ამბავი მოგვაწოდა, ვითომც სომხის გამომცემელთა საზოგადოებას განზრახვა ჰქონდეს დღესასწაულებზე მოიწვიოს „ნოვოე ვრემიას“ ცნობილი რეაქციონერი თანამშრომელი მენშიკოვი ლექციის წასაკითხავად დაჭრილთა სასარგებლოდ. ჩვენ არა გვჯერა ეს ამბავი. თუ ეს გამართლდა, სჩანს ხსენებულ დაწესებულებას დავიწყებია ძველი ბრძნული თქმულება, რომ დანაელების უნდა ეშინოდეს ყველას მაშინაც კი, როცა ისინი საჩუქარს იძლევიან.

✦ ცნობილ მთარგმნელს ქართულად და რუსულად ივ. პოლუმორდვინოვს გადუთარგმნია მრავალი ამბავი რუსის ცნობილ მწერლის ანტონ ჩეხოვისა და გადუწყვეტია მათი ცალკე გამოცემა.

✦ სიმპატიურსა და მრავალ საგულისხმო ამბავს გადმოგვცემს „თეატრი და ცხოვრება“ გარეკახეთის, სართიჭალის საბოქაულოს, სოფლებს განაჩენი დაუდგენიათ ერთი კვირით დაეხმარონ ქართულ თეატრის აშენების დროს: მარტყოფი აპირებს დახმარებას 30 ურმით და 60 კაცით, პატარძეული 15 ურმ. 30 კაც.; ბერთუბანი 10 ურმ. 20 კაც., ნორიო 40 ურმ. 40 კაც., ახალ-სოფელი 6 ურმ. 12 კაც.

✦ ტრანსპორტების მოწყობა კავკასიაში და ცოცხალ ინვენტარის, ე. ი. ცხენების, ჯორ-ცხენების და სხვ. ყიდვა სრულიად რუსეთის საერობო კავშირმა მიანდო ორ ცალკე კომისიას: პირველ სატრანსპორტო კომისიას თავმჯდომარეობს თავ. კონსტ. აბხაზი, მეორეს—თავ. მიხ. სუმბათაშვილი. მუშაობა უკვე დაიწყო.

✦ პატივცემულ ჩვენს მოღვაწეს, წერაკითხვის საზოგადოების თავმჯდომარეს ბ. გიორგი ყაზბეგს აქამდის არ მოუვიდა ნამდვილი ცნობა, თუ სად იმყოფება, ან რა მოუვიდა მის შვილს ალექსანდრეს, რომელმაც მიიღო მონაწილეობა ბრძოლაში ლ...თან; ამის გამო ბევრი უცხადებს თანაგრძნობას პატივცემულ მოღვაწეს და მის ოჯახობას. ამასწინად ეს თანაგრძნობა გამოუცხადა წერაკითხვის საზოგადოების წევრთა კრებამ. გუშინ მას ეწვია თანაგრძნობის გამოსაცხადებლად მოხევეთა დეპუტაცია, რომელსაც შეადგენდენ მღ. ბართლომე ღუდუშაური, სიმონ შადური, ივანე თოფაძე და სხვ.

✦ რედაქციას მოუვიდა ახალი გამოცემა: **ბ. გარდელის 4** მოქმედებიანი დრამა „გაწყვეტილი სიმი“, რომელიც „სახ. ფურცლის“ დამატებაში იბეჭდებოდა. წიგნი აბაზად ღირს.

✦ პეტროგრადში დაარსდა ქართველ დაჭრილთა დამხმარე საზოგადოება.

### ბ. „გრუზინის“ ერთი შენიშვნის გამო.

მკითხველებს ეხსომებათ, რომ ბ. „გრუზინს“ თავის ფსევდონიმის ხმარების შესახებ ჩვენმა გაზეთმა შენიშნა, რომ ასეთ საერთო ფსევდონიმს შეუძლია გაუგებრობა დაჰბადოს მოპირდაპირეს წრეში და ამიტომ სასურველია ამგვარ ფსევდონიმებს არ მიმართავდენ ხოლმე მეტადრე პოლემიკის დროს სომხის ჟურნალ-გაზეთებთანო. ეს შენიშვნა, უნდა მოგახსენოთ, დაიბეჭდა მხოლოდ იმის შემდეგ, როდესაც ქართველ საზოგადოებაში გაისმა უკმაყოფილება ბ. „გრუზინის“ გესლიან კილოს გამო. მე თვითონ მივმართე პირადად „თემის“ შენიშვნის დაბეჭდვამდის „ზაკავკაზსკაია რეჩის“ რედაქტორს თავ. კონსტანტინე პავლეს-ძე თუმანიშვილს და მივუთითე „გრუზინის“ ფსევდონიმის უხერხულობაზე. როგორც მოსალოდნელი იყო, კონსტ. თუმანიშვილი დამეთანხმა და სთქვა ბ. „გრუზინს“ ფსევდონიმს გამოვაცვლევინებო. შემდეგ, რასაკვირველია, აგრეთვე როგორც მოსალოდნელი იყო, ეს არ შესრულა. მე ჩემს ზნეობრივ ვალად ჩავსთვალე, როგორც ერთ-ერთ ქართულ გამოცემის ხელმძღვანელმა, ხსენებული შენიშვნა დამესტამბა, რადგანაც ყველა დამეთანხმება, რომ გამწვავება კავკასიის ერთა შორის ურთიერთობისა მეტად საზარალოა ყველა კავკასიელებისათვის მეტადრე ამ საყოველთაო არევ-დარევის დროს.

ახლა კონსტ. თუმანიშვილის-მიერ შექმნილი და მირონცხებული „გრუზინი“ იმ შენიშვნის გამო ჩვეულებრივ მზაკვრულად ჰბრძანებს: მე ისეთი დაბალი აზრისა არა ვარ სომხის საზოგადოებასა და პრესაზე, რომ „თემის“ მსგავსად ვიფიქრო, ვითომც მათ არ შეეძლოთ გაიგონ რომელიმე ფსევდონიმის მნიშვნელობაო და სხვ.

რა აზრისაა „თემი“ ჩვენი მეზობელი ერის საზოგადოებასა და პრესაზე, დაბალი, თუ მაღალი აზრისა,— ეს უპირველეს ყოვლისა კარგად მოეხსენება თვით ამ ერის საზოგადოებასა და პრესას.

მაგრამ, უნდა ითქვას სიმართლე, თუ ჩვენ ვიზედმე და რაზედმე **დაბალი აზრისა** ვართ, ეს უპირველეს ყოვლისა თვით „გრუზინსა“ და მის ნაწერებზე. საუბედუროდ მისდა, ამ აზრის მარტო ჩვენ კი არა ვართ, არამედ მთელი ქართველი საზოგადოება. აბა გამართოს მისმა მომვლინებელმა კონსტ. თუმანიშვილმა ქართველ მოღვაწეებში ანკეტა ამის შესახებ.

შეუძლებელია, მართლაც, საზოგადოებრივმა აზრმა ნება დართოს ყოველ მოლაზღანდარე მწერალს თავის პირად გულის მოსაფხანად წერილების

წერის დროს შეაფაროს თავი ,,გრუზინის'', ე. ი. ,,ქართველის'' სათაყვანო სახელს.

ვისაც უყვარს თავის ერი, ვინც მოწადინებულია თავის ერის დიად ნაციონალურ იდეალის ჩქარა განხორციელების საქმეს ემსახუროს, ის არ დაუშვებს სხვა ერის, მით უფრო მეზობლის წმინდათა-წმინდის გაწბილებას, ისიც მესამე პირის გასაგონრად!...

**გრ. დიასამიძე.**

## ერთი ცილისწამების გამო.

კერძო ცხოვრებაში შეუძლებელი იქნებოდა არსებობა, რომ ერთგვარი თავაზიანობა და პატივისცემა არ არსებობდეს სჯა-ბაასის, მოქმედების და საზოგადოდ ურთიერთობის დროს. ხშირად ერთიერთმანეთის მოძულე პირები ისეთი გარეგან თავაზიანობას იჩენენ, რომ გარეშე თვალი ვერც კი შეამჩნევს, თუ უსიამოვნო რამ გრძნობა ჰქონდეთ მათ მიმალული თავიანთ გულის სადმე კუნჭულში. ეს არის ერთგვარი კულტურა, სავალდებულო ეთიკა, ურომლისოდაც, რაც უნდა სწავლა მიღებული იყოს კაცი, ნამდვილ განათლებულებში ვერ ჩაითვლება.

სწორედ სათაკილოა: თუ ასეთი ეთიკა სავალდებულოა კერძო ურთიერთობისათვის, რატომ არ უნდა იყოს იგი სავალდებულო საზოგადო ცხოვრებისათვის, ხალხთა ურთიერთობისათვის და ჟურნალ-გაზეთობისათვისაც?

ხშირად ისეთ საშინელ გინებას და ლანძღვა-თრევას შეხვდებით ხოლმე ჩვენებურსა, თუ უცხო გაზეთში, გინდა ჟურნალში, რომ ჰკვირობთ: რამდენი უნდა ჰყავდეს ამ გამოცემას აღზრდის მხრით დამდაბლებული მკითხველი, რომ შეძლებას აძლევდეს ამგვარ გამოცემას იზოგინოს და განაგრძოს არსებობა. მაგრამ გინებასა და ლანძღვა-თრევას ვინ დაგიდევთ, ხშირად ისეთ ცილს სთხზავენ, რომ პირდაპირ სასოწარკვეთილებას ეძლევი: ნუ თუ შესაძლებელია კიდევ პრესაში მონაწილეობის მიღება?

შეიძლება მიგვითითოს ვინმემ ევროპის პრესაზე და გვითხრას: იქ უარესი ხდებაო. მაგრამ ეს გასამართლებელი საბუთი არ იქნება. იქ მეტად განვითარებული საზოგადოებაა, რომელიც დაჩვეულია პრესაში კარგისა და ავის ადვილად და მალე გარჩევას, ამიტომ იქ საზოგადოებრივი აზრი სწრაფად ძოუძებნის ხოლმე ღირებულ ფასს ასეთ მავნე გამოცემას და შესაფერ მომაკვდინებელ სახელითაც ნათლავს. ასეა იქ, სადაც საზოგადოებრივი აზრი მტკიცე და შეურყეველ საფუძველზე სდგას. ჩვენში კი სადაც პრესსა ნახევარ-საუკუნის ჰასაკამდის ჯერ არ მისულა, ყველანი, ვინც დაინტერესებული არიან საზოგადოებრივი აზრის ზრდითა და განვითარებით, ვალდებულნი არიან დიდი ყურადღება მიაქციონ ადგილობრივი ჟურნალ-გაზეთობის გონებრივსა და ზნეობრივ დონეს არ შეგვიძლია ერთ მაგალითზე არ გავჩერდეთ. აქ თბილისში ეს რამდენიმე წელიწადია გამოდის სომხური იუმორისტული ჟურნალი ,,ხათაბალა'' ბაგრატ ერიციანის რედაქტორობით. იუმორისტულ ჟურნალებს ადგილობრივ ენებზე ძალიან ეტანება მდაბიო მკითხველი, მაშასადამე იქ მეტად ფრთხილად უნდა იბეჭდებოდეს წერილები, რომ ხუმრობით, ოხუნჯობით ნათქვამი რომელიმე პირის შესახებ როგორმე მკითხველმა ნამდვილ ამბად არ მიიღოს. საუბედუროდ, ასეთ სიფრთხილეს არ იჩენენ ჩვენი ამგვარ ჟურნალების და ალმანახების რედაქტორები.

ხსენებულ „ხათაბალას" მეთორმეტე ნომერში ვინმე გასპარ-ალა-გალატოზოვი ადგილობრივ სომხურ კილოთი დაწერილ მოწინავე წერილში ეხება ჩვენში ცნობილ მოღვაწის ბ. პართენ გოთუას პიროვნებას და ეკითხება მას: ვინ მისცა ბინა ბორჩალოელ თათრებს ჩვენს ქალაქში სომეხ-თათართა შეტაკების დროსო? ბ. ერიციანი ბავშვი არ არის, რომ არ ესმოდეს თუ ამ ინსინუაციის დაბეჭდვით რაოდენ წყენას აყენებს იმ კაცის პიროვნებას, რომელსაც ღვაწლი მიუძღვის იმ დროს მშვიდობიანობის ჩამოგდების საქმეში და საზიზღარ მოვლენის მოსპობაში.

ამ სტრიქონების დამწერს კარგად ახსოვს, რადგანაც იგი თვითონ იმ დროს იქ იყო, თუ რა ხიფათს გადარჩა ბ. პართენ გოთუა და იქ მყოფი ქართველები ერთს ადგილას მოლაპარაკების დროს მშვიდობიანობის ჩამოგდების გამო. იმ სურათის მნახველს და პართენ გოთუას სიტყვების მომსმენს მე არ შემიძლია ჩემი პროტესტი არ განვაცხადო ბ. ერიციანის თანამშრომლის წინააღმდეგ ჭეშმარიტების შებღალვის და უდანაშაულო კაცის გაწბილებისა გამო.

თუ ბ. ერიციანმა ეს არ იცის, ჩვენ შეგვიძლია პირადად დავუხატოთ მთელი ის სურათი და პ. გოთუას ნათქვამი, რადგანაც ამ ჟამად ყველაფრის გამომჟღავნება პრესაში ფრიად უადგილოდ მიგვაჩნია და საზოგადოდ ამ საგანზე ლაპარაკის ჩამოგდება ძლიერ მავნებლად.

ჩვენ მით უფრო თამამად ვიმაღლებთ ხმას, რომ არის ბევრი საკითხი, რომლის განხილვის დროს ჩვენ და პ. გოთუა სულ სხვა და სხვა პრინციპიალურ თვალსაზრისზე ვდგევართ; მაგრამ ნუ თუ ეს გარემოება უნდა გვიშლიდეს სხვაფერ შევხედოთ საპირადო საქმეს?

ბ. ერიციანმა, როგორც „ხათაბალის" რედაქტორმა, ჩვენის აზრით დიდი დანაშაული ჩაიდინა როგორც ჰუმანიზმისა, ისე თავის მკითხველების წინაშე: მან ჭეშმარიტებას უღალატა!..

მისი საქციელი უფრო მკაცრი კილოს შენიშვნის ღირსია, მაგრამ ჩვენ თავს ვიკავებთ, რადგანაც ძალიან კარგად გვესმის, რომ სიცხარით და აღელვებით, მეტადრე ამ საშინელ დროს, საქმეს სამსახურს ვერ გავუწევთ.

დარწმუნებული ვართ, რომ ამ ჩვენ სტრიქონებს თანაგრძნობით შეხვდება სომხის საზოგადოების და პრესის საუკეთესო ნაწილი.

„ხათაბალის" ცილისწამება სახუმარო საქმე არ არის!..

**გრ. დიასამიძე.**

## ხელახალი ლაპარაკი ერობის შემოღებაზე.

ხელ-ახლა დაიწყეს ლაპარაკი საზოგადოებაში და პრესაში ერობის შემოღების საჭიროების შესახებ ჩვენში. არის ნიშნები, რომელიც თითქო იმედს გვიღვიძებს, რომ ეს დიდი ხნის ნატვრა ჩვენი ხალხისა აგვისრულდება ახლა მაინც. მაგრამ, როგორ არა სთქვას კაცმა, რამდენი დროა დაკარგული ტყუილა-უბრალოდ!.. რამდენი რამ გაკეთდებოდა აქამდინ, ვინ მოსთვლის!.. სწორედ საოცრად გადასჭრეს ჩვენი ქვეყნის განვითარების საქმე იმათ, ვისაც ეჭირა ჩვენში სახელმწიფო საქმეთა მესვეურობა. იმ დროს, როდესაც ქალაქებს არგუნეს რაც უნდა იყოს თვითმმართველობა და ამით ხელი შეუწყეს მათ განვითარებას, სოფელი სრულებით უყურადღებოდ დასტოვეს. იყო დრო, როდესაც სამეურნეო ამხანაგობის დაარსებაც გაძნელებული იყო და მის წესდების დასამტკიცებლად ვინ იცის სად უნდა გერბინათ. საკმარისია აგრეთვე იმის გახსენებაც, რომ საერობო აგრონომების თანამდებობანი ახლახან შემოიღეს მხოლოდ, მაგრამ რა, ზოგან ისეთები არიან დანიშნული ამ თანამდებობის ასასრულებლად, რომელთაც სრულებით არ იციან ქართული ენა და აბა ახლა წარმოიდგინეთ, რას ასწავლიან სოფლელებს. საკრედიტო ამხანაგობების დაარსებაც მრავლად მხოლოდ რამდენიმე წელიწადია რაც გადასწყდა. ამგვარად ერთის მხრით თუ გაბედნიერეს ქალაქი, მეორეს მხრით დასაჯეს სრულებით უმიზეზოდ სოფელი. სოფლის უნდობლობა გამოუცხადეს, ქალაქები ჩვენში ბევრგან ვითარდებოდენ და სოფლები კი იჩაგრებოდენ მაშინ, როდესაც რომ მიეცათ თავის დროზე ერობა ჩვენი ხალხისათვის, მაშინ უეჭველად სოფლის განვითარება მოხდებოდა ქალაქების განვითარებასთან თანაბრად. ეს თანაბარი განვითარებამ ხალხის მოსახლეობის ორი სახისა საჭირო იყო მეტადრე ჩვენში, სადაც ზოგიერთ ქალაქებში ქართველ ტომის გარდა მოსახლეობს სომხის ერიც. ამ ერის შვილებმა რამდენადაც შეიძლებოდა ისარგებლეს საქალაქო თვითმართველობით და ხელი შეუწყეს თავიანთ ხალხის ეროვნულ კულტურულ და ეკონომიურ განვითარებას, ქართველებს კი იმგვარი განსაკუთრებული საშუალება, როგორიც არის თვითმმართველობა აქამდისინაც არ ალირსეს. ამ გარემოებამ ცოტა არ იყოს შურიც დაჰბადა ორ მეზობელ ერთა შორის მაშინ, როდესაც სოფელსაც რომ ჰრგებოდა თვითმმართველობა, ეს გულსაკლავი მოვლენა შური და მტრობა ისე არ გაძლიერდებოდა; იქნება სრულიადაც მოსპობილიყო, რადგანაც თანაბარი განვითარება გააჩენდა ორ მოკავშირე მხარეს—ქალაქს და სოფელს, რომელნიც ერთმანეთს ხელს გაუწოდებდენ როგორც თანასწორნი. ახლა კი სულ სხვა სურათის მხილველნი ვართ... იქნება დრომ, მართლაც, ახალი საჩუქარი—ერობის შემოღება მოგვიტანოს, რომელიც უეჭველად დიდ სამსახურს გაუწევს კავკასიის ერთა განვითარებას და შეთანხმებას. მაგრამ... ეს არის, რომ ჩვენს იმედს სწამლავს ერთი გარემოება, რომლის მოწმენი შევიქენით ამ დღეებში. როგორც ჩვენს მკითხველებს მოეხსენებათ, სრულიად რუსეთის საერობო კავშირს სურდა დაჭრილთა დახმარების საქმე ჩაებარებინა სადეპუტატო საკრებულოებისათვის, მაგრამ ეს პირველი მოსაზრება უარჰყვეს ჩვენმა კეთილისმყოფელებმა და სხვაფრივ მოაწყეს. ვერც გრ. მუსინ-პუშკინის მოსვლამ უშველა საქმეს. ასე რომ ამ პირველ დიდ საერობო საქმეს რაღაც უცნაური ,,მაჯლაჯუნა'' გადაეღობა წინ და ააშორა ნამდვილი საერობო ხალხი. თითო-ოროლა ქართველი თავად-აზნაურიც მიუწვევიათ. ეს იქნება პირადი ღირსების ჯილდოც იყოს, მაგრამ თვით საერობო საქართველოს ამით რა მოემატება?! ეს ვერ შევიგენით, სამწუხაროდ. ნუ თუ მომავალი ერობის შემოღების დროსაც პირში ჩალა-გამოვლებული დარჩება ნამდვილი საერობო ხალხი ჩვენივე უმოქმედობით და ურწმუნობით?!... ეჰ, მახლას!...

**მეთვალყურე.**

## ქართველი მეომრები უცხოეთში.

„ახალ ივერიაში" დაბეჭდილია ახალი ცნობები ამას წინად საფრანგეთში [illegible] ემიგრანტ [illegible] აბაშიძის შესახებ: „ბ. აბაშიძე ჩაწერილა ფრანგთა ჯარში, რადგანაც სურდა მიეღო საფრანგეთის ქვეშევრდომობა. ფრანგებთან ერთად იბრძოდა მაროკოში, ტონკანში (ინდოჩინეთში); გმირობისათვის მიიღო ორი ჯილდო და ხარისხი. პარიზს დაბრუნდა ამ ერთი წლის წინ და მოსვლისთანავე ხელი მიჰყო სამეურნეო სწავლას, მაგრამ მოუსწრო ომა და ისიც გაიწვიეს. მამაცად მიდიოდა ის საომრად, მაგრამ ემჩნეოდა სევდა; რადგან 8 წელიწადი არ ენახა დედა და არც სამშობლო ქვეყანა. ალზას-ლორენის საზღვრებიდან აი რას სწერდა ერთს თანამემამულეს: „მე მაბარია ერთი რაზმი, რომელშიაც ბევრი გაბედული მეომარია. მიხარია, რომ ვიბრძვი ალზას-ლორენის საკეთილდღეოდ. ვეცდები არ შევარცხვინო ჩემი ქართველური სინიდისი". ენატრებოდა ბრძოლის ველზე ქართველების ნახვა. შეიძლება ნატვრაც აუსრულდა, რადგან ფრანგების ჯარში სხვა ქართველებიც ჩაეწერენ მოხალისედ, მაგრამ უდიდესი ნატვრა, სამშობლოში დაბრუნება, მას არ აუსრულდა".

—

საფრანგეთის ჯარში ყოფილა კიდევ ერთი ქართველი მეომარი, რომელსაც მხოლოდ გაკვრით იხსენიებს ვ. ლებედევი მოსკოვის გაზეთ ,,რუსკია ვედომოსტის'' 28 ნოემბრის ნომერში. ვ. ლებედევი თავის წერილში ეხება რუსეთის ემიგრანტებს, რომელნიც მოხალისეთ შესულან საფრანგეთის არმიაში და იბრძვიან გერმანიის წინააღმდეგ. ამ წერილიდან ვტყობილობთ, რომ მოხალისეთ წასულა ბრძოლის ველზე აგრეთვე ქართველი თარსაიძეც. აი წერილის ის სტრიქონები, რომელიც მას ეხება: ,,მესამე დღეს თარსაიძე, რომელიც სადარაჯოზე იდგა, გადააყირავა ,,ჩემოდანის'' აფეთქებამ (,,ჩემოდანს''—ზარბაზნის ნასროლს ეძახიან ჯარში). ტანისამოსი პერანგითურთ დაუფხრიწა; გულს არა მოხვედრია-რა, მხოლოდ მეორე ნატეხმა გაუხვრიტა ფეხის რბილი ნაწილი. ,,არაფერია, მალე დავბრუნდები და მერე კიდევ ვნახოთ''—მოჰყავს ვ. ლებედევს ჩვენი მამაცი თანამემამულის სიტყვები. სასურველია, რომ იმათ, ვინც იცის ქართველ მეომართა სახელები საზღვარგარედ და მათი მოქმედების ამბები, მოგვაწოდონ ყველა მათ შესახებ ცნობები. ამით სამსახურს გაუწევენ ქართულ საქმეს. ჩვენ სიამოვნებით დავსტამბავთ უტყუარ ცნობებს.

## თეატრი საბურთალოზე.

ამ ბოლო ხანებში საბურთალოზე წარმოდგენების მმართველი წრის მუშაობა უფრო ინტენსიურად და სწრაფის ტემპით მიმდინარეობს. იგი სისტემატიურად მართავს კრებებს, ზრუნავს თეატრის საქმის მალე მოსაწესრიგებლად და სეზონის გასახსნელად, რომელიც ომის დღევანდელ კრიზისის და სხვა ხელ-შემშლელ პირობათა გამო დაგვიანდა.

მიმდინარე წლის 21 გიორგობისთვის საღამოს 8 საათზე გამგეობის წევრთა და სცენის მოყვარეთა შეერთებული კრება მოხდა სათანადო პიესის ასარჩევად როლების გასანაწილებლად და სეზონის გასახსნელად. ხანგრძლივი კამათის შემდეგ უმრავლესობამ ამოირჩია ორი თითო მოქმედებიანი კომედია, სახელდობრ: ,,ცოლქმრობის წინააღმდეგ'' და ,,დატრიალდა ჯარა'' ნაცვლად წინა კრებაზე გადაწყვეტილ პიესისა: ,,რაც გინახავს ვეღარ ნახავ''. ამის გარდა ხმის უმეტესობამ გადასწყვიტა ეთხოვოს რეჟისორს ბ-ნ ალ. წუწუნავას, სეზონის გახსნის დღეს, თავის სურვილისამებრ, თავის ძალებით რამდენიმე პიესა დასდგას. წრის რეჟისორობა იკისრა ბ-ნმა შაქრო საფაროვმა, ხოლო მისი თანაშემწეობა ქ-მა ანკარამ (სონა ყიფშიძისამ). ამით გათავდა კრება.

შემდეგი მორიგი კრება 5 ქრისტიშობისთვეს მოხდა, რომელზედაც გაანაწილეს როლები. სცენის მოყვარეთა შორის განსაკუთრებით ყურადღებას იპყრობენ: ბ-ნი კოტე რატიშვილი, მოხევე, ფირიაშვილი, თვით რეჟისორი და მის თანაშემწე.

ამას გარდა კრებაზე გამოირკვა, რომ თავად-აზნაურობა წრეს უთმობს უსასყიდლოთ თავის თეატრის ძველ სკამებს (80 ცალს) და ეხლა ეს საქმე მინდო-[illegible] ინჟინერ მამრაძეზე, რომელიც, იმედია, მალე დაუთმობს წრეს სკამებს.

**ივარ.**

## წერილი ქუთაისიდან.

კვირას, 30 ნოემბერს, ქუთაისის თეატრში სახალხო უნივერსიტეტის გამგეობამ გამართა ლექციების კითხვა. გრ. გიორგაძემ წაიკითხა ლექცია შემდეგ თემაზე: ,,დარდანელი და ბოსფორი იურიდიული და ისტორიული თვალსაზრისით''. ლექციის შინაარსი მოკლედ ასეთია: დარდანელს და ბოსფორს დიდი ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა და აქვს ეხლაც განსაკუთრებით იმ სახელმწიფოებისათვის, რომელნიც შავი ზღვის გარშემო მდებარეობენ: გარდა ამისა ბოსფორი და დარდანელი არის შემაერთებელი ხიდი ევროპის და აზიის. 1453 წლამდის ბოსფორი და დარდანელი იყო ბიზანტიის ხელში. ამ დრომდე საქართველო კულტურულად ჰყვაოდა. საქართველოში ევროპის კულტურას კარი ჰქონდა ღებული. 1453 წელს თურქებმა დაიპყრეს ბიზანტია. ამ მომენტიდან სწყდება კულტურული კავშირი ევროპასა და რუსეთს შუა. მე-XVI საუკუნეში რუსეთმა მიაპყრო ყურადღება შავ ზღვას. რუსეთი ამ დროიდან ნელ-ნელა შავ ზღვაზე ძლიერდება და უუფლებასაც ჰპოულობს დარდანელსა და ბოსფორში სავაჭრო და სამხედრო გემების გატარებისას. ოსმალეთი ხშირად არღვევდა პირობას რუსეთთან და ეს იწვევდა ომიანობას. ევროპის სახელმწიფოების მხრით დარდანელსა და ბოსფორს ინგლისი, საფრანგეთი და ბოლოს გერმანია აქცევენ ყურადღებას. ომიანობის გათავებას მოჰყვება დარდანელის და ბოსფორის საკითხის გადაწყვეტაც. მოსალოდნელია დარდანელის და ბოსფორის სამნაირი გადაწყვეტა: იგი ან შეიქნება სახელმწიფოებისათვის დაკეტილი ან შესაძლოა ყველა სახელმწიფოებისათვის გახსნილი იქნეს, ან მოსალოდნელია რომელიმე ძლიერ სახელმწიფოს გადაეცეს. მეორე ლექცია წაიკითხა ჩიტო შარაშიძის-ქალმა: თემაზე: „შოთა რუსთაველის შეხედულება ქალზე''. აი რა გამოსთქვა ლექციაში ლექტორმა-ქალმა.

მეფეს ძველად დიდი ავტორიტეტი ჰქონდა ხალხის თვალში. იგი ხალხს ღვთის სწორათ მიაჩნდა.

ასეთი შეხედულება გამოისახა რუსთაველის ,,ვეფხის ტყაოსანში''. რუსთაველი მეფეს ლომს adარებს.

ქალის და მამაკაცის სრულ-უფლებიანობა სრულიად არ არის გამოთქმული მის ლექსში: ,,ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს, თუნდა ხვადია''. ამით რუსთაველმა მეფის (ლომის) ქალ-ვაჟის სწორუფლებიანობას გაუსვა ხაზი. ,,ვეფხის ტყაოსანში'' გამოისახა ის შეხედულებანი ქალზე, რომელიც საშუალო საუკუნოებში საქართველოში არსებობდა. ქალს როგორც საქართველოში, ისე დასავლეთ ევროპაშიაც, უყურებდენ როგორც მაცდურ არსებას. ეს თვალსაზრისი ასკეტიზმიდან გამომდინარეობდა. მეორეს მხრით დაიბადა საქართველოში, აგრეთვე დასავლეთ ევროპაშიაც ქალის თაყვანისცემა—კულტი. ეს ორგვარი შეხედულება, რომელიც საშუალო საუკუნის საქართველოში არსებობდა ქალის შესახებ, გენიოსურის სიძლიერით გამოსახა შოთა რუსთაველმა თავის ,,ვეფხის ტყაოსანში''.

ლექციას ხალხი ბევრი დაესწრო. საზოგადოებამ მხურვალე ტაშით დააჯილდოვა ორივე ლექტორი.

**ა. ცაცხვისძირელი.**

## დაუჯერებელი ამბავი.

მოსკოვის გაზ. ,,ნოვის'' № 126-ში ვკითხულობთ შემდეგ სტრიქონებს:

,,ეპისკოპოსი კირიონს ,,რეაბილიტაცია'' მიანიჭეს. მას იწვევენ დამოუკიდებელ კათედრის დასაჭერად ,,დასვენების'' შემდეგ.

,,ეპისკოპოს კირიონი ,,გაწბილებული'' იყო საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალობის მედგარი დაცვით, სხვა სიტყვით, რეაბილიტაცია არგუნეს ქართველ ეკლესიის დამოუკიდებლობის იდეას.

,,ჩვენ უნდა თანავუგრძნოთ ამას ისევე, როგორც ამას წინად პრინციპიალურად გადაწყვეტილ საკითხს კავკასიის ერობის შესახებ.

,,დამოუკიდებლობა როგორც ქართველ ეკლესიისა, ისე საზოგადო ცხოვრებისა შიშსა ჰგვრიდა ჩვენს ბიუროკრატიას ერთი და იგივე მიზეზით: კავკასია,—განაპირა მხარეა; კავკასია საეჭვოა. მას არ ენდობოდენ. ეჭვი ჰქონდათ სურვილი აქვს ,,ჩამოგვშორდესო''. ამის გამო ერობაც და ავტოკეფალიაც მიაჩნდათ, როგორც ,,ჩამოშორების'' პირველი ნაბიჯი.

,,უნდობლობას ბოლო მოუღო ომმა. კავკასიამ დაამტკიცა, რომ ერთის მისწრაფებით სცოცხლობს დიდ რუსეთთან ერთად და ყველა ის, რაც დამოუკიდებლობის წინააღმდეგ ჰქონდათ, ჩაიფუშა, დარჩა მხოლოდ კეთილი, მხოლოდ ის, რაც შეიძლება ითქვას მის სასარგებლოდ.

,,ერობაც უკვე დაპირებულია.

,,ჯერი მიდგა ეკლესიის დამოუკიდებლობაზე, ეპ. კირიონის მოწვევა ამტკიცებს, რომ ეს საკითხი მორიგი საკითხია''.

შემდეგ გაზეთი ამბობს, რომ ,,ქართველი ეკლესია ფრიად თავისებურია როგორც სამწყსოსა და სამღვდელოების მხრით, ისე ტრადიციებისა და შინაგან წესწყობილებისა, ამიტომ მოითხოვს სულ სხვა გამგებლობას.

,,ეძლევა დამოუკიდებლობა კავკასიის საზოგადოებას; უნდა მიეცეს თვითმმართველობა ქართველ ეკლესიასაც'' დასძენს ალ. ალ. სუვორინის გაზეთი.

* *
*

## ბუჭუტა აბაშიძის ხსოვნას.

გაიძულეს განშორებოდი შენს ტურფა მხარეს, დაგეტოვებინა ის, რაც ყველაზედ უძვირფასესი იყო შენთვის და გარდახვეწილიყავ შორს... უცხო ქვეყანას, ვით ვინმე უგზო-უკვლო, უთვისტომო, ყარიბი...

და, ლარივით გაივლე თუ არა გულში საქმენი საგმირონი, ამაყად აიფრიალე ცხოვრების ალამი, რომელზედაც წითელ ზოლად გამოჰკრთოდა: სამშობლოსათვის თავის დადება, დაფერფლა მის წმიდა სამსხვერპლოზე...

შენს პაწაწინა დაზიანებულს ნავს გააფთრებული და ულმობელი ზღვის ღელვა დაუნდობლად მირტივტივებდა, ახეთქებდა [illegible] ნაფოტებად ექცია, მაგრამ [illegible] ხელში გეჭირა, [illegible] რებდი რა მომავალსა...

...გამარჯვებული გაირიყე უცხო სოფელს, სადაც არსებობისთვის ახალი ბრძოლა მოგელოდა... და... გმირულად დალიე სული შორს... ბრძოლის ველზედ, როგორც შეეფერებოდა შენი კეკლუცის სამშობლოს ერთგულს შვილს!

ადამიანის ხელითვე გაიგმირა შენი მტკიცე გული უცხო მიწა-წყალზე, მშობელმა დედამ ვერ დაიშალა დალალ-კავი შენს ნორჩს საფლავზე და ვერ დაგადინა ხუშური ცრემლი, მგლოვიარე, ძაძა მოსილმა სატრფომ ვერ მოგიძღვნა უკანასკნელი სალამი და მის ნაცვლად შავმა მიწამ ჩაგიკრა თავის ცივს გულში...

მაგრამ გმირთ-გმირო, ხარ ბედნიერი, რადგანაც შეასრულე ღვთაებრივი მოვალეობა და პირნათლად გამოაყენე შენი ცხოვრების ალო.

ხარ ბედნიერი, რადგანაც „სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანი!"

**არჩილ მექანარიშვილი.**

## ივანე მაჩაბელი. *)

### მცირე მოგონება და მისი წერილები ჩემდამი.

ბევრი დაიწერა და კვლავ დაიწერება ვანო მაჩაბლის წარმოუდგენელი ხვედრის გამო.

იმისი კვალ-წმინდათ დალუპვა—ეს ისეთი მწვავე ტრაგედიაა ქართული ცხოვრებისა, რომლის ხამები, მართალია არა ვართ, მაგრამ იგი იმდენად განსხვავებულია და მძაფრი ხასიათისა, რომ ქართველობა მზგავს მოვლენას იშვიათად მოსწრებია და ვერც შერიგებია მის გაუკვლელობას, საიდუმლოებას.

ვანო მაჩაბელი, ჯერ ახალგაზრდა, მაგრამ დიდი კაცი იყო, დიდი ცოდნითა და ნიჭით. დიდი კაცი იყო საზოგადოებისთვის, როგორც მარჯვე მოსაქმე, მჭევრმეტყველი მოლაპარაკე და წერის ოსტატი. დიდი კაცი იყო მშობელი ქვეყნისთვის, როგორც მისი მოყვარული, მისთვის თავგანწირული, ბეჯითი, იშვიათი ადამიანი და მუშა.

როგორც წინათ დავწერე ჩვენს ქუთათურ გაზეთში, მე ჩვენებში ძალიან ძვირად შევსწრებივარ ვანოსებრ მარდსა და მარჯვე ჟურნალისტს. პერიოდული პრესისთვის ზედგამოჭრილი სწრაფი მუშა, საუცხოვოდ მცოდნე ქართული ენისა, მსუბუქი, გასაგები საგაზეთო ენისა რა გინდ რთული საკითხი უნდა ყოფილიყო, ვანო ათიოდ წამში წერილს დაამზადებდა, რაც მოწმობდა მის ერუდიციას.

და ასე სწრაფად დაწერილს იმის ნაშრომს არაოდეს აჩქარების დაღი არ ემჩნეოდა—ყოველთვის გონიერი, მოსწრებული და საზრიანი იყო იმისი ნაწერი, თითქოს მრავალგზის ნაფიქრი და ხანგავლით ნააზრევი ყოფილიყოს.

და რაღ ეღირებოდა ვანო ჩვენთვის დღეს, დღეს, როცა პერიოდულმა პრესამ მცირედ სული მოითქვა ვითომ, ძველი მუხრუჭი თითქოს ისე აღარ აწუხებს, როგორც მის დროს იყო და საზოგადოება უფრო გულის ყურით თვალს ადევნებს ამ პრესსას, ვანოს მარჯვე კალამი დაუფასებელი იქნებოდა ამ დროებით ჩვენთვის, ჩვენი პრესისთვის.

მაგრამ ბედისწერამ და ჩვენმა უილბლობამ აქაც თავი გამოჰყო და მრავალ ჭირთა ჩვეულთ რაღა დაგვრჩენია—უნდა შევურიგდეთ და დავთმოთ ეს ძნელად და ძვირათ ასანაზღაურებელი ზარალი. და აკი კიდევაც შევურიგდით, რომ აქამდინ არ ვიცით—ცამ აიტაცა, მიწამ ჩაყლაპა, სად და როგორ მოისპო ასეთი სანუკვარო, საიმედო ადამიანი...

მცირე ვართ რიცხვით ქართველები, ცოტა გვყავს რჩეულნი და მით უფრო საკვნესარია და სავალალო ჩვენთვის რჩეულთა დათმობა და ისიც კიდევ ასეთი გარემოებით.

როგორც ჩვენი მწერლობის ერთი მცირე მუშაკი, მე უმეტეს მწვავედ

*) ეს სავულისხმო მოგონება დაბეჭდილია ჟურნალ „თეატრის და ცხოვრების" 30 ნოემბრის ნომერში.

**რედ.**

ვგრძნობ ამავე ასპარეზის დიდი მუშის დაღუპვას და სანამ ვიცოცხლებ, ვერც დავივიწყებ იმ მოკლე ხანას, როცა ივანე მაჩაბლის ხელმძღვანელობით „დროების“ რედაქციაში ვშრომობდი.

მოკლე ხანს მარგუნა იღბალმა ჩემს ძმა სერგეისთან მუშაობაც. და თუ მწარე გულის კვნესით მოვიგონებ იმ დროს, ამის შემდგომი ხანაც, იმგვარივე მოკლე და მცირეც, ამაკვნესებს ხოლმე, ვინაიდან სერგეის ნაჭირნახულევს საქმეს, მართლაც, რომ ღირსეული მემკვიდრე გაუჩნდა ვანო მაჩაბლის სახით.

მწარე გლოვის შემდეგ სერგეის საუკუნო განსასვენებელთან ახლოს ვცხოვრობდი სოფ. რიონში და აქ მომივიდა ცნობა, რომ ვანო მაჩაბელს ჰსურდა ჩემი მიწვევა „დროების“ რედაქციაში.

მე დიდის ხალისით მივიღე ეს წინადადება. სერგეიმ შემაყვარა სარედაქციო შრომა. ვანოს ადრეც ვიცნობდი და მასთან მუშაობასაც ვესწრაფოდი. მოწოდებაზე პასუხი დეპეშით შევუთვალე ვანოს და აი, პირველი წერილიც იმისი—1884 წ. ოქტომბრის 6.

ა

ძმაო დათიკო.

უკაცრაოდ, რომ ტელეგრამაზე პასუხს ცოტას გიგვიანებ. აი საქმე როგორ არის: მე ჯამაგირის ძლევა (30 მ. თვეში) მხოლოდ ნოემბრის პირველიდან შემიძლიან, რადგან ამ დრომდე ძველი კორექტორი რჩება. საქმე შემდეგი გექნება: სადილის უკან პირველი კორექტურის დაჭერა (მეორედ მე ვასწორებ), და დილით უეჭველად რედაქციაში ყოფნა სამი საათის განმავლობაში—10 საათიდან 1 საათამდე, როდესაც შეგეძლება წვრილ-წვრილი ამბების თარგმნა გაზეთებიდან და თუ გატყვრა ხოლმე საიდამ ხელის მოწერა, ან განცხადება, ამის მიღება. მე იმედი მაქვს, თუმცა სრულიად ვერ დაგაიმედებ, რომ სხვა სამუშაოსაც გიშოვნი შემდეგში და ასე მცირე ულუფაზედ არ დაღგები. — მაშ ვახსენოთ ღმერთი, გამოართვი ჩემ მაგიერათ საშგზავრო ფული 10 მანეთი იყოს, თუ 15, ან 20 ჭილაძეს *) ამ წიგნის ჩვენების შემდეგ და გამოემგზავრე ამ თვის გასულს, მალე შემატყობინე, თუ ამ პირობებს არ უარჰყოფ. თუ ჭილაძემ უარი გითხრა რედაქციის ანგარიშის მოცემაზე, მომწერე კიდევ ორი სიტყვით და მაშინვე გამოგიგზავნი.

ი. მაჩაბელი.

ქვემოთ მეორე, მოკლე წერილიდან სჩანს, რომ მე სამი თუმანი მცირე ჯამაგირათ დამინახავს, მომატებაც მითხოვია და ბინაც. აი რასა მწერს ვანო:

ბ

ძმაო დათიკო. გრ. ყიფშიძეს **) დავაკლებინე ხუთი მანათი თვეში, მეც გავიქექე ჯიბე, მიუმატე ხუთი მანათი და როგორც იყო შეგისრულე ოთხი თმუანი, თუმცა რედაქციაში სადგომი არ გექნება; ეხლა რედაქცია ცოტა კაი ადგილზედ გვაქვს ***) და ვიწროთ ვართ. ერთი სიტყვით, შენი „ავლა დიდება“ ოთხი თუმანი იქნება თვეში და იმედი სხვა სამუშაოსიც. რაც შეეხება რედაქციის შეძლებას, ამაზედ აქ ვილაპარაკებთ და გაგაცნობ კიდეც ჩემს მდგომარეობას, როგორც დაახლოვებულს წევრს რედაქციისას. მანამდის კი ნახვამდის. გელი უეჭველად.

შენი ვანო მაჩაბელი.

ამ წერილს შემდეგ მე თბილისში გადავედი, ქვემო წერილს ქუთაისში მწერდა, სადაც დროებით წაველი.

გ.

ძმაო დათიკო.

ჭყონიას ****) წერილი მივწერე და ვაცნობე, რომ საჭირო არ არის, ვინმემ იკისროს ფელეტონის ავტორობა, მე თვითონ ვიკისრებ. მაშასადამე ოზურგეთში წასვლა საჭირო არ არის. ოზურგეთში წასვლა კი საჭირო არ არის, მაგრამ ის კი შემატყობინე, როდის შეგეძლება აქ მოსვლა. მე აქ ვერავინ ვიშოვე, რომ ეშრომა და ფულზედაც ძალიან კოტრობაა, ასე რომ საქმე სულ მე დამაწვა კისერზედ თითქმის. კორექტურის გასწორება კი არ მაწუხებს, რადგან ამის იქით გადავწყვიტე კორექტურა მე თვითონ ვასწორო. შრომა ერთია პირველი და მეორე კორექტურის გასწორებაზე და ამწყობებიც ძალიან დახელოვდნენ. მაგრამ კაცი არ არის, რომ რედაქციაში იყოს ხოლმე დილით, როცა მე იქ არა ვარ.

ამას გარდა აცნობე ჭილაძეს, რომ რაც მერგება ფული, გამომიგზავნოს უეჭველად. ორი თვეა მოვწერე და არაფერს მატყობინებს. ფული მჭირდება, რადგან ამწყობები მაწუხებენ და შემოსავალი კი ამ სამ თვეს არა იქნება რა.

ი. მაჩაბელი.

დ

ძმაო დათიკო, აუცილებლად საჭიროა, რომ რაც შეიძლება მალე ჩამოხვიდე თბილისში. რაწამს ეს წერილი მოგივიდეს, მაშინვე გამოსწიე თბილისისკენ. მინდა რომ კვირამდის აქ იყო, ან ორშაბათისთვის, რადგან სამშაბათს სხვაგან მივდივარ ორის კვირით, ან ათი დღით. მაშ გელი.

ვანო.

ე

დათიკო,

იმ დღეს რომ ფელეტონში შეცდომა მოსვლოდათ სტამბაში, გაასწორებინე, თორემ უაზრო გამოდის. ამას გარდა, თუ არ გადმოგიბეჭდიათ, გადმობეჭდეთ „ნოვოე ობოზრენიედან“, რომ ივანე მუხრან ბატონი გუბერნიის მარშლად დაუმტკიცებია ხელმწიფესთქო.

ორს ამბავს გიგზავნი შინ. ხრონიკისთვის. ხვალ ან ზეგ მოწინავე წერილს გამოვგზავნი.

ვ

„დროების“ აკრძალვის შემდეგ.

ძმაო დათიკო.

შენს წიგნზედ ცოტა პასუხი დაგიგვიანე. ჩემი ბრალი არ არის. მართალაც და შენს წერილს საიმედო პასუხი ეკადრებოდა. და იმედის მოუცემლობას სულ მოუწერლობა სჯობს. ახლაც იმედს ვერას გაძლევ, მაგრამ ვიფიქრე, ვაი თუ უპასუხობა სხვაფრივ ჩამომართვას და დავიწყება მისაყვედუროს მეთქი. კარგად იცი, ძმაო დათიკო, რომ მე მაგისთანა გული არა მაქვს და რომ შესაძლებელი ყოფილიყო, აქამდისაც ვეცდებოდი რამე ადგილის შოვნას, მაგრამ ესეც იცი, რა ძნელია ამ დაწყევლილი ადგილების შოვნა და მეტადრე იმისთანასი, რომელიც მუდამ მშიერი კუჭით მაინც არ გატარებდეს. რაც შეეხება ჩემა და დიასამიძის ვალებს, შენგან არ მიკვირს, რაებს იწერები. ან მე და ან დიასამიძე თავის დღეში როგორ ვიფიქრებთ, რომ გისაყვედუროთ რამე. როცა კაცს ზღვა ალრჩობს, წყაროზე ფიქრი ამოარ იქნება. როცა რვაას-ცხრაასი თუმანი დამედო, შენი რამდენიმე მანეთი რაღა სახსენებელია, მერე იმისთანა მანათები, რომელიც აუცილებელმა გაჭირვებამ აგაღებინა. შენ კარგად იცი, რომ შენს შრომას ყოველთვის მეტად ვაფასებდი და თუ მეტის მოცემა არ შემეძლო, ეს მხოლოდ რედაქციის ხელმოკლეობით მომდიოდა.

გუშინ ლაგიაშვილის საქმე გადაწყვიტეს, ოცი წლის კატორგა დაუნიშნეს, ბევრნი ჩამოხრჩობასა ცდილობდენ. პროკურორმა ძალიან პატიოსანი სიტყვა წარმოსთქვა, ადვოკატი უფერული იყო. სხვას ვერაფერს მოგწერ, დაწვრილებით ამბის შეტყობისათვის გამამტყუნებელი ოქმი წაიკითხეთ.

იწერები, დათიკო, შენც დამპირდი რამეო. არას დაგპირდები, მაგრამ იქნება ამ დაუპირებლობამ უფრო გასჭრას.

შენი ვანო მაჩაბელი.

ზ

ძმაო დათიკო. ცოტა დაგიგვიანე შენის წერილის პასუხი. დაგიგვიანე იმისთვის, რომ ველოდი „რუსთაველის“*) წარმოდგენას. მეშინოდა, ვაი თუ წაკითხვამ შემაცდინა და სცენაზე კი არა გამოვიდეს რა მეთქი.—მე სწორე გითხრა ხშირად მეშლება ეს ორი საგანი და მშვენიერი სასცენო პიესა, ვიდრე სცენაზე არა ვნახავ, უხეირო მგონია. „რუსთაველის“ შესახებ კი არ მოვტყუვდი. კოტემ წაგვიკითხა და მოგვეწონა კიდეც, მაგრამ არ მეგონა კი ისე მოსაწონი იქნებოდა საზოგადოებისათვის. რეცენზიებს წაიკითხავდი, მაგრამ ჩვენი რეცენზენტები ცოტა საბაკევიჩობენ, როცა პიესის ღირსებაზედ მიდგება საქმე, ან კარგს არას ამჩნევენ, ან ისე ცალყბად იტყვიან ხოლმე, თუმცა ესა და ეს ნაკლულევანება ჰქონდა, მაინც პიესა დიდ განძს შეადგენს ჩვენის ღარიბის რეპერტუარისთვისო და სხვ. და სხვ. არც ერთმა რეცენზენტმა არ მიაქცია ყურადღება ორს შესანიშნავს საგანს: ერთი ესა, რომ მთელი პიესის განმავლობაში არც ერთხელ ხალხს არ გაუცინია—პიესაში არა იყო რა სასაცილო და მაინც კიდევ ყელთამდე სავსე თეატრმა დიდის ყურადღებით და ასე გასინჯე მოწიწებითაც კი მოისმინა მთელი პიესა. მაშასადამე ჩვენი საზოგადოება მარტო სასაცილოს არ ეტანება და ესეთი ყურადღება საზოგადოების ცოტას რასმე მაინცა ნიშნავს—ალბად ნაკლულევანების გარდა მართლა ღირსებაცა აქვს რამე. მესამეც ესა—პიესას, კოტეს გარდა სულ მეორე ხარისხის არტისტები თამაშობდენ და კარგმა რეჟისორობამ ეს მეორეხარისხოვანნი პირველს პლანზე წამოაყენა. ესეც კიდევ იმის საბუთია, რომ ჩვენი თეატრი წინ წავა და ხალხში ფესვს გაიდგამს, თუ რიგიანი მოთავე ეყოლება და „რუსთველის“ მგვავს პიესებს ხშირად მოვესწრებით.

ტყუილად ბოდიშობ „ოტელოს“ შესახებ. თუ შეამჩნიე, „ივერიის“ რეცენზიას, მარტო შენ არ დაგიწუნეს თარგმანი, იქ ამბობდენ—თარგმანი მოითოხარიკებდაო (!!) განსაკუთრებით სამი უკანასკნელი მოქმედებაო. მაშასადამე პირველი ორი მოქმედებაც მოითოხარიკებდა, მაგრამ ნაკლებად და პირველი ორი მოქმედება ხომ ჩემი იყო. რა გაეწყობა, ღმერთმა ქმნას „ივერიას“ უკეთ დაეწეროს და უკეთესად ეთარგმნოს და ჩვენც ღმერთს მადლობა შევსწიროთ ან რა გასაკვირველია, მჯობის მჯობი არ დაილევა.

შენი ვანო.

ამ წერილში ნაჩვენები „ოტელოს“ თარგმანის ამბავი ასე მოხდა. ჩემმა ძმამ კოტემ ქუთაისში განიძრახა „ოტელოს“ წარმოდგენა. იმ დროს ქუთაისში კოტე რეჟისორობდა დასს, შეუთვალა ვანოს, რომელმაც მოსწერა, ოტელოსი“ ჯერ-ჯერობით ორი მოქმედება მაქვს მზათაო და ამ ხანად არც დრო მაქვს, რომ დავამთავრო. მაშინ კოტემ მე ჩამსვა და სამი მოქმედება ჩემი ნათარგმნით წარმოადგინეს, ორი პირველი კი—ვანოსაგან მოუვიდა. სწორედ „ივერიის“ რეცენზიამ გამოიწვია ჩემი ბოდიშიც ვანოს წინაშე.—ყოველ შემთხვევაში, თუ მოითოხარიკებდა—ეგ ჩემი ნათარგმნი, რამაც ვანოს თარგმანიც ზედ მიიტანა...

ეს შვიდი წერილი ამოვარჩიე ვანოსი ჩემს ქაღალდებში. იყო სხვაც, მაგრამ საუბედუროდ ველარ მივაკვლიე.

დ. მესხი.

*) ვარლამ ჭილაძე - წიგნის მაღაზია ჰქონდა ქუთაისში და გაზეთებსაც ჰყიდდა.

**) რედაქციაში მუშაობდა.

***) სასახლის ქუჩა, სარაჯიშვილის სახლებში.

****) ილ. ჭყონია, რომელმაც ოზურგეთის, მგონი, მაზრის უფროსზე ფელეტონი დასწერა და იმანაც უჩივლა.

დ. მ.

*) ჩემის ძმის კოტეს პიესა.

დ.

## სამხედრო ტეხნიკა.

მებრძოლ სახელმწიფოებს ამ საერთაშორისო ომში დიდ სამსახურს უწევს სამხედრო ტეხნიკა. საერთოდ ეხლა იმ სახელმწიფოს, რომელსაც სამხედრო ტეხნიკა ანუ საომარი იარაღი უმაღლეს საფეხურამდინ აქვს განვითარებული, უფრო მეტი საშუალება ეძლევა მოკლე ხანში, მრავალ ჯარის შეუმუსრავად, სძლიოს მტრის ლაშქარს, ფორტები—სიმაგრეები დაანგრიოს და მით უზრუნველჰყოს თავისი მომავალი გამარჯვება.

ამიტომ საჭიროა მოკლედ გავაცნოთ მკითხველ საზოგადოებას ამ სამხედრო ტეხნიკის შემადგენელ ნაწილთა ანუ თვითეულ საომარ საშუალებების ვითარება და მოქმედება.

### ასაფეთქებელი ნივთიერებანი. ნაღმი.

ყოველ ახალ გამოგონებას ცოტა თუ ბევრად დიდი ცვლილება შეაქვს კაცობრიობის ფართო ცხოვრებაში და წარუშლელ კვალსაც სტოვებს მის საქმის გართულებაში. ყოველი გამოგონება ღირსეულ დაფასებას ითხოვს და ამიტომ მსწავლულნი ფხიზელ თვალით ხედებიან ხოლმე მას. ასეთ მაგ. ნაღმის საქმეც, რომელიც მეცხრამეტე საუკუნეს გამოგონებათა სიაში მოქცეული და რომელსაც დღევანდელ ომის აქტიურ საჭიროებისათვის გასაშლელი ასპარეზი შეზღუდული ჰქონდა. მას, დღეს, ამ საერთაშორისო ომში მიეცა მოქმედების გასაქანი და თვალსაჩინო როლსაც თამაშობს როგორც ხმელეთზე, ისე ზღვაში. ნაღმები ორგვარია: ხმელეთზე და ზღვაში სახმარებელი.

1. ხმელეთზე სახმარებელ ნაღმთა შორის ძირითად და უპირველეს ტიპად „მორტირას ნაღმი“ ითვლება. იგი დაცემულ კონუსის მაგვარია, რომლის ნახვრეტი მტრის მხარესაა მართული. ნაღმის ძირას ჩაწყობს ასაფეთქებელი დინამიტის წონა, ელექტრონულ ძალით (ნაკადით) საზვერ ადგილთან მავთულით შეერთებული. ნაღმი შეუმჩნევლად საგანგებო სანაღმო ორმოშია ჩაფლული. მთ[illegible] საზვერ ადგილიდან მტრის ყოველ მოძრაობას უთვალყურებენ, დროს შეურჩევენ, ააფეთქებენ და ურიცხვ ჯარს ამოხოცავენ ხოლმე.

არის კიდევ ხმელეთზე სახმარებელი ავტომატიური ე. ი. თვით მომქმედი ნაღმი, რომელიც ფიცრის ქვეშაა მოთავსებული.

ამ ფიცრის ქვეშ მოთავსებულია აგრეთვე კონტაქტის სისტემა ელექტრონის ძალით. ხშირად ჯარი უცბად ასეთ თვითმომქმედ ნაღმს წააწყდება ხოლმე და თითქმის მთლად იღუპება.

2. ზღვაში სახმარებელი ნაღმები უფრო დიდ როლს თამაშობენ, ვიდრე ხმელეთისა. ზღვის ნაღმსაც ორი სახე აქვს: მზვერავ ალაგიდან ასაფეთქებელი და თვით-მომქმედი, ავტომატიური.

ყველა სამხედრო ნავთსადგურებში, სადაც მტრის გემებს ადვილად შეუძლიანთ მისვლა და ყუმბარების დაშენა, მოხერხებულ ადგილებში ჩააწყობენ ხოლმე ნაღმებს, რათა მტრის ყუმბარებმა არ ააფეთქონ ისინი, ნავთსადგურის მთავარ მზვერავ ადგილას ორიგინალური აპარატია გამართული, რომლის მაჩვენებელ ობიექტითა და სარკის შუშებით მოსჩანს ყველა ჩაწყობილი ნაღმი. მტრის გემი რომ გაივლის (აპარატში მოსჩანს), სათანადო ნაღმს, აფეთქებენ ხოლმე და ჰღუპავენ გემს.

საერთოდ ნაღმს ფრთხილად მოქცევა ესაჭიროება. არამც თუ მტრის, ხშირად თვით ნეიტრალური და ჩამწყობი მხარე დაზარალდება ხოლმე.

უფრო გამანადგურებელი თვისებისაა უაიჰთხედის მცურავი (თვითმოძრავი) ნაღმი, რომელშიაც ასი კილოგრამი ასაფეთქებელი ნივთიერებაა. იგი სიგრძით 18 ფუტია, ხოლო წონით 30 ფუთი. საკმარისია ასეთ ნაღმს ოდნავ შეეხოთ, რომ აფეთქდეს.

ნაღმები, თუ ერთის მხრივ სასარგებლო საომარი საშუალებაა, მეორეს მხრით დიდი საზარალოცაა. ამიტომ მის მოსახმარებლად და მისგან თავის დასაცავად განსაკუთრებული გემებია, როგორიცაა მაგ. ნაღმოსანი, კონტრნაღმოსანი და სხვა. საერთოდ, უნდა ვსთქვათ, გემს, კრეისერს, მეტადრე უჯავშნოს, ზარბაზნების გარდა, სანაღმო აპარატიც აქვთ, [illegible] პირდაპირ გემის ასაფეთქებლად, რაიც უფრო ადვილია.

ნაღმს შეადგენს: შუშის ჰიქა ერთი წვეთი ვერცხლის წყლით; გემი რომ დაეჯახება, შუშის ჰიქა იმსხვრევა, ვერცხლის წყალი ხვდება ელექტრონულ მავთულებს, არტყავს ნაკადს და ფეთქდება; გალვანიურ ელემენტს; ელექტრონულ ძალას და საპირისწამლეს.

### ტყვია „დუმ-დუმი“.

ჟენევის კონვენციის თანახმად არც ერთმა სახელმწიფომ ასაფეთქებელი ნივთიერებანი ერთ გირვანქაზედ ნაკლები არ უნდა იხმაროს, მაგრამ, როგორც სხვა ომის კანონებს ისე ამას, ავსტრია-უნგრეთი და გერმანია არ ემორჩილება და ასაფეთქებელ ტყვიას „დუმ-დუმ“-ს ხმარობს. მთავრობის ოფიციალურ ცნობით, უკვე ვიცით, რომ რუსებმა სხვათა შორის ხელთიგდეს 17 ათასი ტყვია „დუმ-დუმ“-ი. იგი ჩვეულებრივი გადაკეთებული ტყვიაა. საკმარისია ყოველ თანამედროვე ტყვიას წინა წვერი ჯვარედინად გადაუჭრათ ან და მელქიორული ტყავი, რომელშიაც ტყვია გახვეულია, ააცალოთ (ტყვიის წინაპირს), რომ „დუმ-დუმად“ გადიქცეს. ეს ტყვია მოხვედრისას ფეთქდება, იგი დიდად სტანჯავს დაჭრილს, ასივებს, მუშტის ოდენათ უგანიერებს ჭრილობას და გამოღების დროს საშინლად ტანჯავს, აწვალებს. ტყვიის გამოსასვლელი სიფართოვე ხომ პირდაპირ აუწერელია.

ეს უაღრესი ბარბაროსული და არა ადამიანური საშუალებაა თანამედროვე ომის საშუალებათა დარგში. „დუმ-დუმი“ პირველად ინგლისელებმა იხმარეს აჯანყებულ აფრიკელთა დასამშვიდებლად.

ეხლა მას დიდრონ ნადირთა დასახოცათი ხმარობენ. და როგორც ხედავთ ეს „ნადირები“, ალბად ხალხი ყოფილა რომ, უმწეო, სუსტ ადამიანს ამ „დუმ-დუმი“-თ ხოცავენ!!.

გიორგი მაღრაძე.

რედაქტორ-გამომცემელი გრ. დიასამიძე.


დაიწყო ხელის მოწერა 1915 წლისათვის ყოველდღიურ საპოლიტიკო და ეკონომიურ გაზეთ

„შრომა“-ზე

წელიწადი მეორე.

გაზეთი 1915 წლის 1 იანვრიდან გამოვა ყოველდღე წინანდელი რედაქციით. გაზეთში მონაწილეობას მიიღებენ აგრეთვე ახალი ძალები.

წლიური ხელის მომწერლები პრემიათ მიიღებენ ვიქტორ ჩერნოვის წიგნს „ფილოსოფიური და სოციოლოგიური ეტიუდები“ (ქართულ ენაზე, 300 გვერდი) არა ხელის მომწერლებისთვის წიგნი ეღირება 2 მან.

გაზეთის ფასი.

1 წლით ✖ 6 თვით ✖ 3 თვით ✖ 1 თვით ✖ ცალკე-ნომერი 5 კაპ.
7 მან. ✖ 4 მან. ✖ 2 40 ✖ 80 კაპ. ✖

საზღვარ გარედ ორჯერ მეტი

წლიური ხელის მომწერლებს ფულის გადახდა შეუძლიათ ნაწილ-ნაწილ. ხელის მოწერისას—3 მან. 1 აპრილს—2 მან. ივნისს—2 მან. რედაქცია ღიაა ყოველდღე დილის 9—2 საათ, საღამოს 5—8 საათ.

მისამართი: წერილებისა და ფულისათვის Кутаисъ редакція „ШРОМА“ поч. ящ. № 47.

# ტფილისის კერძო სამკურნალო

ქსენიას ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მიხეილის პროსპექტისა და ვეტცელის სასტუმროს ახლო. ტელეფონი № 590.

სტაციონური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, ცალკე ნომრები და საერთო ოთახები. განსაკუთრებული სამშობიარო განყოფილება.

მწოლიარე ავადმყოფთა მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი ექიმი სპეციალისტები:

| | |
|---|---|
| შინაგანი სნეულებანი | მანსვეტაშვილი ვ. მ. (ორშაბ. ოთხშაბ. და პარასკ.) 2—3. |
| | მაღალაშვილი გ. ვ. (სამშაბ. და შაბათობით) 10—12. |
| | მიქელაძე შ. ა. (ყოველ დღე) 12½—1. |
| | ფედოროვი ე. გ. (ყოველ დღე), 11—12. |
| | კიკალიშვილი პ. ლ. (ყოვ. დღე,) 11½-2. |
| ქირურგიული სნეულებანი | მარკევიჩი ვ. ლ. კონსულტანტი (ყოვ. დღე) 11½—12½. |
| | მელიქიშვილი ნ. მ. (ყოველ დღე) 10—1. |
| | ფირადოვი რ. ბ. (ყოველ დღე) 12—1. |
| ქალთა სნეულებანი და სამშ. | ექიმი-ქალი ვერბიცკი-ფირადოვისა ლ. (ყოველ დღე) 11—12. |
| | თიკანაძე ი. ე. (ყოველ დღე) 1—2. |
| | მელიქიშვილი ნ. მ. (ყოველ დღე) 10—1. |
| ბავშვთა სნეულებ. | კიკალიშვილი პ. ლ. (ყოვ. დღე.) 1½—2. |
| | მიქელაძე შ. ა. (ყოველ დღე) 12½—1. |
| | ფედოროვი ე. გ. (ყოველ დღე,) 11—2. |
| ნერვ. სნეულ. და ელექტ. | ჯავახიშვილი ნ. ნ. სამშაბ. და შაბათ. 12—1. |
| | ფონდოევი გ. ხ. (ყოველ დღე) 1—2. |
| ყურ. ყელ. ცხვ. | ათენიანცი ნ. ა. (ყოველ დღე) 12½—1½. |
| თვალის სნეულ. | მუსხელიშვილი ვ. ხ. (ორშაბ. ოთხშ. და პარასკ.) 2—2½. |
| კან. და ვენ. სნ. | დიასამიძე ა. ნ. (ყოველ დღე) 11½—12½. |

სამკურნალოს აქვს მოწყობილი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. Wasserman. რჩევისათვის 50 კ., საწოლები 2 მ. დაწყებული ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. ოპერაციები, კონსილიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია; „606“, „914“ და წამლის შეშხაპუნება, ელექტრონით წამლ., მასაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათიანი საფასურით

„ხარებობის“

„ბლაგოვეშჩენსკოე“

კოოპერატიული სალიანელ მეთევზეთა შემნახველ - გამსესხებელი ამხანაგობა.

თბილისი, პუშკინის ქ. № 17.

ამით აუწყებს პატივცემულ საზოგადოებას რომ მან

უკვე დაიწყო ვაჭრობა

ყოველ გვარ თევზეულობისა.

მყიდველთ შეუძლიანთ მუდამ მიიღონ მაღაზიაში: მოხარშული ცხელი დოში, ცალძვალა, იანი, და ჰიპა.

გამომდგარი ზურგიელები: დონისა და ქართული. სრულებით უმარილო მსხვილი მარცვლოვანი ახალი ხიზილალა „ქეტკა“, საუკეთესო გემოვნების ხიზილალა პარკისა და ბოჭკისა.

მუდამ დღე იყიდება:

ახალი თართი, ზუთხი და ლოქო

ვაჭრობა სწარმოებს როგორც ბითუმად, (პარტიით) ისე წვრილად.

ამხანაგობის მიზანია, თავისი საკუთარი საქონელი გაჰყიდოს პირველ ხელში მომხმარებელთა და მიაწოდოს მათ ახალი და საღი თევზეულობა ფრიად ნაკლებ ფასებში, მაგალითად, 20 პროც. და მეტით ნაკლებ, ვიდრე თბილისელ მეთევზეთაგან, რადგანაც თვით ამხანაგობა ცდილობს, დაიმსახუროს მომხმარებელთა ყურადღება. იმედია, საზოგადოებაც არ დასტოვებს უყურადღებოდ ამ ნორჩს კოოპერატიულ დაწესებულებას.

პატივისცემით გამგე საწყობისა და მაღაზიისა ზურაბ ფარემაშვილი.

ხელოვნურად შეზავებული



სამკურნალო და ხილეულობის წყალი

მიტროფანე ლაღიძე და ამხ.

მზადდება საუკეთესო ხილეულისწვენისაგან, წმინდა შაქრით, ქიმიურად გაწმენდილი მასალებისაგან, გამოხდილი და ნადუღი წყლით.

გემო და სუნი საამური აქვს

ფირმა დაჯილდოვებულია წყლის საუკეთესო ღირსებისათვის დიდი ოქროს და ვერცხლის მედლებით და ცნობილია სრულიად უვნებლად თბილისის გუბერნიის სამკურნალო მმართველობისაგან (№ 5792)

ქარხნები იმყოფება: თბილისში—გოლოვინის პროსპ. № 6, ტელეფ. № 411. ქუთაისში—პუშკინის ქუჩა № 5.


Дозволено военной цензурой. ნებადართულია სამხედრო ცენზურის მიერ. ელექტრო-მბეჭდავი სტამბა სპირიდონ მ. ლოსაბერიძისა, მოსკოვის ქ. საკუთ. სახლი № 5.